პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

პარასკევი,
21
თებერვალი
1936 წ.
№ 42 (4501)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

საქართველოს კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, განამტკიცეთ გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობილება! გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ყველა კოლმეურნე—შეძლებულად! გაუმარჯოს საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინურ წესდებას!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის ლოზუნგებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების ლოზუნგები

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ლოზუნგები ჩვენი რესპუბლიკის 15 წლისთავისათვის, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, მკვეთრად გამოხატავენ ორდენოსანი საქართველოს დიდ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მიღწევები როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, მიღწევები, რომლითაც საქართველომ საბჭოთა მთავრობის უდიდესი ჯილდო—ლენინის ორდენი დაიმსახურა.

როგორც სარკეში, ამ ლოზუნგების ყოველ სტრიქონში მკაფიოდ მოსჩანს საქართველოს მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის გმირული, სახელოვანი შრომა იმისა და მენშევიკების მიერ განადგურებული და გაოხრებული მეურნეობის აღსადგენად და ქვეყნის სოციალისტურად გარდასაქმნელად, შრომა, რომელმაც ამ 15 წლის მანძილზე მოახდინა სასწაულები და ჩვენი ქვეყანა აქცია საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე, ინდუსტრიალურ-აგრარულ რესპუბლიკად.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა საქართველო ზეიმით აღნიშნავს თავის 15 წლისთავს. ქალაქებსა და სოფლებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს უკვე დაეუფლა საზეიმო განწყობილება, გაჩაღდა მზადება საქართველოს ოქტომბრის 15 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად.

რესპუბლიკის ყველა მშრომელი, თვითეული საწარმოო უბანი სოფლად თუ ქალაქად გულდასმით ემზადება ამ ბედნიერი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით, მუშაობის სტახანოვური მაჩვენებლებით, გეგმების გადაჭარბებით შესრულებით ხვდებიან დღესასწაულს რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, რომელთა სახელი და ღირსება ზრდის და ამაღლებს თვით ორდენოსანი რესპუბლიკის სახელსა და ღირსებას, რომელთა საქმე ახალ ბრწყინვალე ფურცლებს სწერს საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკურ გამარჯვებათა წიგნში.

ეს წიგნი კი, მისი რჩეული თავების სახით, ერთ მთლიან წერილად უძღვნება ხალხთა საყვარელ ბელადს—დიდ სტალინს. საქართველოს ყველაზე ძვირფას საამაყო გამარჯვებებზეა მოთხრობილი ამ წერილში. მასში საქართველოს ყველაზე ძვირფასი ადამიანები არიან დასახელებული, როგორც ჩვენი რესპუბლიკის სასახელო შვილები, რომლებიც მრავალათასიან მშრომელებთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ სჭედდნენ და მომავალშიც გამოსჭედენ ჩვენს გამარჯვებებს.

მომავალი ზეიმი ჩვენ გვაკისრებს ახალ დიდ ამოცანებს, მოგვიწოდებს სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპისაკენ, გამარჯვებათა ახალ მწვერვალებისაკენ მიგვაქანებს. მომავალ საბრძოლო ამოცანებთან ერთად, ამ ზეიმის წინ ჩვენ ვიხსენებთ წარსული ბრძოლების სახელოვან ფურცლებს, ვიხსენებთ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს და საქართველოს მენშევიკთა კონტრრევოლუციური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ მუშათა და გლეხთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, უსპეტაკესი გრძნობით ვიხსენებთ რუსეთის გმირულ პროლეტარიატს, დიდ რუს ხალხს, რომლებიც ძმურად დაეხმარენ საქართველოს მშრომელებს გამარჯვებათა მოპოვებაში, მხურვალედ ვესალმებით გმირულ წითელ არმიას და მის სახელოვან ხელმძღვანელს, სოციალისტურ სახელმწიფოს პირველ მარშალს ამხ. კლიმ ვოროშილოვს, ვინც ასე ძმურად და გულმხურვალედ ზრუნავს არმიის ქართული ნაწილების გამოჭედვაზე და მიუდგომელს ხდის საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს.

და ჩვენ იმედიანად, მტკიცედ გავცქერით წინ, ახალ ბედნიერ ცხოვრების გზას, რომელსაც მტკიცედ ადგია საბჭოთა კავშირი—ჩვენი დიადი, უძლეველი სამშობლო და, კერძოდ, საბჭოთა საქართველო. ამ გზაზე ჩვენ ახალი დიდი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი, ამ გზაზე ჩვენ კიდევ და კიდევ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი ერთგულება ლენინ-სტალინის საქმისადმი, ხალხთა დიდი ბელადისადმი, უნდა დავამტკიცოთ ახალ-ახალი საგმირო საქმეებით, ახალ-ახალი გამარჯვებებით, უნდა გავამართლოთ სტალინის დიდი ნდობა, უნდა ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია, რომელიც ასე სტალინურად დასტრიალებს თავს საქართველოს, მთელ ამიერ-კავკასიას და გამარჯვებას გამარჯვებაზე სჭედს.

ვუპასუხოთ პარტიის ლოზუნგებს მორიგი გამარჯვებებით, უფრო შევამჭიდროვოთ საკუთარი რიგები ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, უფრო გავამახვილოთ კლასობრივი, რევოლუციური სიფხიზლე, ფართოდ გავშალოთ და გავაღრმავოთ სტახანოვური მოძრაობა, ვიყოთ ერთგული საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა, მაღლა ავსწიოთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა, რომელმაც საბჭოთა საქართველოს მშრომელებს მოუტანა მზიანი და ბედნიერი სიცოცხლის, მარადიული გაზაფხულის დღეები!

სტახანოველი მეაბრეშუმეები— ამხანაგ ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

მარტვილის რაიონის სტახანოველი მეაბრეშუმეების შეკრება სასოფლო-საბჭოების თავმჯდომარეებისა და პარტორგანიზატორებთან ერთად, მხურვალედ გესალმებით შენ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლს.

ჩვენ განვიხილეთ მეაბრეშუმეობის გეგმა 1936 წლისათვის და საბრძოლო ამოცანად დავისახეთ მისი მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

გასულ წელს მარტვილის რაიონმა ვერ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადება. 163 ტონა აბრეშუმის პარკის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა მხოლოდ 132 ტონა.

ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძიოთ მუშაობის ცუდ ორგანიზაციაში. სტახანოველი მეაბრეშუმეების გვერდით ჩვენი რაიონის მეაბრეშუმეთა რიგებში ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებიც ვერ დაეუფლებიან ჭიის მოვლის საქმეს, არ იცავენ გამოკვების აგრო-ღონისძიებებს, საფრთხეში აყენებენ გეგმის შესრულებას. რაიონის საუკეთესო მეაბრეშუმეებმა კი ერთი კოლოფი ჭიიდან 30 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 60 კილოგრამი პარკი და უფრო მეტიც. ნინუცა ხაჯომიამ ერთი კოლოფიდან ჩააბარა 72 კილო, ფოტინე ჩარგაზიამ—70 კილო, ელენე ბეჟვაიამ—65 კილო, ელენე კურდღელიამ—67 კილო, ნახევარი კოლოფი ჭიიდან ოლღა ჩქოფოიამ ჩააბარა 42 კილო, საშიკო დახელიამ—41 კილო.

ჩვენ ვიღებულობთ ბოლშევიკურ ვალდებულებას, მიმდინარე წელს ბოლო მოუღოთ ამ ჩამორჩენას, ჩავაბაროთ სახელმწიფოს 182 ტონა აბრეშუმის პარკი, გასულ წელს ფაქტიურად ჩაბარებული 132 ტონის ნაცვლად, კოლოფზე გამოსავლიანობას ავწევთ 38 კილოგრამამდე მაინც.

ამ ვალდებულების გასანაღდებლად ჩვენ დაუყოვნებლივ ვშლით სათანადო მოსამზადებელ მუშაობას.

მეაბრეშუმეობის გეგმის საუკეთესოდ შესრულებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ცხაკაიას რაიონს.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას, მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს — ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს შენ, დიდი სტალინის ღირსეულ მოწაფეს, საქ. კომპარტიის (ბ) მებრძოლ ხელმძღვანელს, ამხ. ლავრენტის!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ა. წ. 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ქალ. ტფილისში სახოპერის შენობაში მოწვეულია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისათვის მიძღვნილი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესია:

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმისა, პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიულ ორგანიზაციათა, წითელი არმიის წარმომადგენლებსა და მრეწველობის ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის სტახანოველებთან ერთად.

სსრ კავშირის ცაკის, ამიერ-კავკასიის სფსს რესპუბლიკის ცაკის საქართველოს ცაკის წევრები. ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ტ. კ-ის და საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ტ. კ-ის სარევიზიო კომისიების წევრები და კანდიდატები საიუბილეო სესიის სხდომაზე შედიან თავისი მანდატებით, ხოლო დანარჩენები მოსაწვევი ბარათებით და საშვებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
თ. ჟღენტი.

ესპანეთის ხალხი მოითხოვს

პოლიტიკურ მოღვაწეთა გაქცევა ესპანეთიდან

პარიზი, 19 თებერვალი. აღნიშნავენ, რომ ესპანეთიდან გარბიან პოლიტიკური მოღვაწენი, განსაკუთრებით ისინი, ვინც გარეულია სისხლიან დანაშაულში 1934 წლის ოქტომბრის აჯანყების დათრგუნვის დროს, მაგალითად, ჰიბრალტარში გაიქცა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვაკარო, პორტუგალიაში გაიქცა შინაგან საქმეთა მეორე ყოფილი მინისტრი სალასარ ალონსო, აგრეთვე ასტურიის ყოფილი გუბერნატორი ველარდე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესპანეთის დეპეშათა ოფიციალური სააგენტო ფაბრა კატეგორიულად უარყოფენ ხმებს, რომ გუშინ ღამით რეაქციულმა სამხედრო წრეებმა სცადეს მოეხდინათ სამხედრო გადატრიალება (ადს).

□

ესპანეთის მთავრობა გადადგა

პარიზი, 19 თებერვალი. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, ვალიადარესის მთავრობა გადადგა (ადს).

პარიზი, 19 თებერვალი. ესპანეთის პოლიტიკურ წრეებში უფრო შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ახალი კაბინეტის შედგენას იკისრებს ყოფილი პრემიერი ასანია,—„მემარცხენე რესპუბლიკური" პარტიის—სახალხო ფრონტის ერთერთი პარტიის ლიდერი.

რობლესმა ინახულა რესპუბლიკელთა ლიდერი-კონსერვატორი მაურა, რომელსაც წინადადება მისცა შეადგინოს ახალი კაბინეტი და აღუთქვა, რომ სედა (მემარჯვენე პარტიათა ბლოკი) და სხვა მემარჯვენე, ფაშისტური დაჯგუფებანი მხარს დაუჭერენ კაბინეტს. მაურამ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მან გადაჭრით უარი სთქვა და უპასუხა რობლესს, ხელისუფლება იმ პარტიამ უნდა აიღოს, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვაო (ადს).

□

ესპანეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 20 თებერვალი. ასანიამ (მემარცხენე რესპუბლიკელთა ლიდერი) შეადგინა მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ცხრა მინისტრი მემარცხენე რესპუბლიკელი, სამი მინისტრი „რესპუბლიკური კავშირის" წევრი და ერთი უპარტიო. („მემარცხენე რესპუბლიკური" და „რესპუბლიკური კავშირის" პარტიები სახალხო ფრონტში შედიან).

სოციალისტები კაბინეტის შემადგენლობაში არ შესულან (ადს).

□

გლეხთა პარტიის გამარჯვება

რუმინეთის პარლამენტის არჩევნებში

ბუქარესტი, 19 თებერვალი. რუმინეთში ორ ოლქში მოეწყო პარლამენტის დამატებითი არჩევნები. ორივე ოლქში გაიმარჯვეს ნაციონალ-ცარანისტების (გლეხთა) პარტიის კანდიდატებმა (ადს).

პატიმართა საყოველთაო ამნისტიას

პარიზი, 19 თებერვალი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, ხალხის მასების ერთერთი ძირითადი მოთხოვნაა დაუყოვნებლივ განხორციელდეს პოლიტიკურთა საყოველთაო ამნისტია, რაც ვალიადარესის მთავრობის მიერ იყო აღთქმული. ამ ლოზუნგით მთელ რიგ ქალაქებში იმართება მანიფესტაციები, რომლებსაც ჟანდარმერია სასტიკად სთრგუნავს. „პარი მიდის" ცნობებით, ბოლო დროს არჩევნების შემდეგ მთელს ესპანეთში მოკლეს 10 და დასჭრეს 100-ზე მეტი კაცი.

სარაგოსიდან იუწყებიან, იქ გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვის დაწვრილებითს ცნობებს. გაფიცულები მოითხოვენ დაუყოვნებლივ ამნისტიას, დაახლოვებით 5 ათასმა მუშამ მოაწყო დემონსტრაციები. დემონსტრანტებს მიუძღოდა სახალხო ფრონტისაგან პარლამენტში არჩეული სამი დეპუტატი, პოლიციამ დემონსტრანტებს ტყვიები დაუშინა, მოჰკლა ერთი კაცი და დასჭრა 6, მათ შორის—ორი ქალი. გაფიცვა მოედო ქალაქის ყველა საწარმოს. სასწრაფოდ გამოგზავნილმა ჯარებმა მთელი ქალაქი დაიკავეს და სხვადასხვა ადგილას ტყვიამფრქვევები დადგეს.

მთელ რიგ ქალაქებში სწარმოებს პოლიტიკურ პატიმართა ჯანყი. ხიხონში პოლიტიკურებმა ცეცხლი წაუკიდეს საპყრობილეს და გახაიაოლის საპყრობილეს რამდენიმე [illegible]. ჟანდარმებმა საპყრობილეს ალყა შემოარტყეს და პატიმრებს გაწყვეტას ემუქრებოდნენ. სისხლის-ღვრა თავიდან იქნა აცილებული მხოლოდ იმის მეოხებით, რომ საქმეში ჩაერია პარლამენტის დეპუტატად არჩეული, კომუნისტი ქალი დოლორესი იბარური (პასიონარია).

ბურგოსის საპყრობილეში მოხდა ათასი პოლიტპატიმრის ჯანყი. რომელიც საპყრობილის მსახურებმა სასტიკად ჩააქრეს (ადს).

ბერლინში აღშფოთებული არიან

ბერლინი, 19 თებერვალი. შვეიცარიის მთავრობის დადგენილებამ შვეიცარიის ტერიტორიაზე გერმანული ფაშისტური ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ ბერლინში ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთები განსაკუთრებით იმითი არიან აღშფოთებულნი, რომ შვეიცარიის მთავრობის გადაწყვეტილება მიმართულია გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, ხოლო „სხვა ქვეყნების საზღვარგარეთის პოლიტიკური ორგანიზაციების" წინააღმდეგ კი არა. შვეიცარიის მთავრობის დადგენილება გერმანიის პრესას მიაჩნია გერმანიისადმი მტრულ აქტად და არაორაზროვნად იმუქრება კონტრზომებით შვეიცარიის ქვეშევრდომთა მიმართ გერმანიაში (ადს).

გერმანიის პრესა შეშფოთებულია

ბერლინი, 19 თებერვალი. გერმანიის ფაშისტურ პრესას ძლიერ საწყენად დაურჩა სახალხო ფრონტის გამარჯვება ესპანეთის არჩევნებში,—ფაშისტური პრესა დიდად შეშფოთებულია ესპანეთის ამბებით. პრესა ფიქრობს, რომ შესაძლებელია ესპანეთში შესდგეს მემარცხენეთა მთავრობა (ადს).

კომუნისტები ესპანეთის პარლამენტში

პარიზი, 19 თებერვალი. „ლუმანიტე" აქვეყნებს ესპანეთის კორტესებში არჩეული კომუნისტების გვარებს:

ხოსე დიასი—კომუნისტური პარტიის ც. კ-ის გენერალური მდივანი (მადრიდი), დოლორეს იბარური (პასიონარია) და ხუან იანსო (ასტურია) კაეტანო ბოლივარი (მალაგა), ვისენტე ურიბე (ხაენი), მიგუელ ვალდესი—კატალონიის კომპარტიის ც. კ-ის მდივანი (ბარსელონა), ხესუს ხერნანდესი და ბაუტისტა გარსია (კორდოვა), ანტონიო მისე (სევილია), მარტინეს კარტონი (ბადახოსი), ადრიანო რომერო (პონტევედრა), ხოსე ურიბესი (ვალენსია), ორტეგა (კადიქსი).

□

მისალმება ესპანეთის კომპარტიას

პარიზი, 18 თებერვალი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არჩევნებში სახალხო ფრონტის გამარჯვების გამო ესპანეთის კომპარტიას გაუგზავნა მისალმება (ადს).

□

გოჯას საუბარი ბენეშთან

პრაღა, 19 თებერვალი. პრესის ცნობით, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა მიიღო გუშინ პარიზიდან დაბრუნებული პრემიერი გოჯა, რომელიც ორ საათს ესაუბრა ბენეშს და გააცნო მას ინფორმაცია თავისი მგზავრობის შედეგების შესახებ. გოჯას გამგზავრება ბელგრადში დანიშნულია 21 თებერვლისათვის. გოჯა ფიქრობს, სამხრეთსლავიაში დაჰყოს 4 დღეს და დაბრუნდეს მცირე ანტანტის ეკონომიური საბჭოს სხდომების დაწყებისათვის. „პრაგერ ტაგებლატის" ცნობით, მცირე ანტანტის ეკონომიური საბჭოს სხდომებზე უმთავრესად განიხილავენ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება მცირე ანტანტის (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და სამხრეთ-სლავია) ქვეყნებს შორის სავაჭრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას (ადს).

□

იტალია - გერმანიის შეხვედრები

რომი, 19 თებერვალი. როგორც უკვე იუწყებოდნენ, გერმანიის ელჩმა იტალიაში გუშინ ინახულა სუვიჩი. ეს შეხვედრა მოხდა მას შემდეგ, რაც სუვიჩი მიუნხენში იყო, სადაც, როგორც გადმოგვცემენ, ის შეხვდა ჰიტლერს. სუვიჩთან საუბრის შემდეგ გერმანიის ელჩი თვითმფრინავით დაბრუნდა ბერლინს.

დღეს იტალიის მთავრობის მეთაურმა მუსოლინიმ მიიღო პოლონეთის ელჩი.

ყველა ეს შეხვედრა რომის პოლიტიკურ წრეებში მრავალ მითქმა-მოთქმას იწვევს. ჰგონიათ, რომ ლაპარაკია იმის ცდაზე, რათა დამყარდეს იტალიისა, გერმანიისა და პოლონეთის თანამშრომლობა, რომელიც მიმართული იქნება მშვიდობიანობის და უშიშროების კოლექტიური გარანტიის მომხრეთა წინააღმდეგ (ადს).

ამხ. კაგანოვიჩი ბიროჯანსა და ულან-უდეში

ტაიშეტი, აღმოსავლეთ-ციმბირის რკინიგზა, 17 თებერვალი. გზათა სახალხო კომისარმა და საკ. კპ.(ბ) ც. კ. მდივანმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა აღმოსავლეთის გზებზე მოგზაურობის დროს ინახულა ებრაელთა ავტონომიური ოლქის დედაქალაქი ბიროჯანი და ბურიატ-მონღოლეთის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი ულან-უდე.

ბიროჯანის სადგურის მოედანზე მოეწყო ბიროჯანის მშრომელთა და წითელარმიელთა ნაწილების დიდი მიტინგი, ისინი მხურვალედ მიესალმნენ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხ. კაგანოვიჩს. ამხ. კაგანოვიჩმა გადასცა ებრაელთა ავტონომიური ოლქის მშენებლებს სალამი და გამოსთქვა რწმენა, რომ უახლოეს წლებში ბიროჯანი გახდება კულტურული, შეძლებული და მაღლადგანვითარებული მხარე. ქალაქის გაცნობისა და პარტიის ოლქკომში საუბრის შემდეგ, ამხანაგმა კაგანოვიჩმა მონაწილეობა მიიღო ოლქისა და ქალაქის აქტივის თათბირზე.

თათბირზე გამოსულმა კოლმეურნეებმა, მუშებმა, ოლქის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ოლქის მიღწევების შესახებ მშენებლობის დარგში. დიდი სიტყვით გამოვიდა ამხ. კაგანოვიჩი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მიღწევებზე, სხვადასხვა ბურჟუაზიულ ნაციონალურ პარტიებთან კერძოდ სიონისტებთან, ბუნდელებთან და პოალეციონისტებთან და სხვებთან ბრძოლის ისტორიაზე. მხოლოდ ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკა და ბოლშევიკები უზრუნველყოფდნენ და ახლაც უზრუნველყოფენ ყველა დაჩაგრული ეროვნების განთავისუფლებას. გამოუკლებლივ ყველა ეროვნების მშრომელები მხოლოდ საბჭოთა კავშირში წარმოადგენენ ერთსულოვან ოჯახს, რომელსაც აშენებენ თავიანთ ბედნიერებას, თავიანთ შეძლებულ, კულტურულ ცხოვრებას, აშენებენ სოციალიზმს.

კრებამ მიიღო მისალმება ამხანაგი სტალინისადმი, რომელშიც ებრაელთა ავტონომიური ოლქის ყველა მშრომელის სახელით პირობას სდებს ყოველი ღონე იღონონ, მეურნეობის მძაფრი აყვავებისათვის და საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილის — ებრაელთა ავტონომიური ოლქის თავდაცვის განმტკიცებისათვის.

14 თებერვალს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი ჩავიდა ბურიატ-მონღოლეთის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-უდეში, სადაც მას შეხვდნენ მუშათა და წითელარმიელთა დელეგაციები და პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ლაზარე მოისეის-ძე მთელ დღეს ეცნობოდა რესპუბლიკის სოციალისტურ მშენებლობას, ორთქლმავლის დიდი ახლად აშენებული გიგანტის — ორთქლმავალ-სავაგონო ქარხნის მუშაობას.

ულან-უდის დეპო სამართლიანად ითვლება მთელი ზაბაიკალიის რკინიგზაზე საუკეთესო დეპოდ. აქ შექმნილია მემანქანეთა და რემონტის მუშათა მტკიცე კადრები, რომელნიც სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობას მთელ გზაზე. ესენი არიან: ორდენოსანი მემანქანე ამხ. კლინინი, მებრძოლი კომკავშირელი მემანქანე ამხ. ლაზარენკო და აგრეთვე სხვები. დეპოს შეკრებილმა მუშებმა მხურვალე სალამი უძღვნეს თავიანთ საყვარელ სახკომს, სიტყვა მისცეს, რომ თავის [illegible] გზაზე არავის დაუთმობენ და თავიანთ დეპოს მოწინავედ გახდიან [illegible] გზათა მთელ ქსელზე.

ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი დაწვრილებით გაეცნო გზათა სახალხო კომისარიატის ულან-უდის საორთქლმავლო-სავაგონო ქარხნის მშენებლობასა და ათვისებას. ქარხნის მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. სავაგონო და საორთქლმავლო კომბინატის კარგად და კომპაქტურად დაგეგმილ გიგანტურ კორპუსებში დადგმულია უახლესი ჩარხები — მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა. ამ ჩარხებს უკვე ამუშავებენ. დიდ საამქროთაგან ჯერ დამთავრებული არ არის ელექტროსადგურისა და ფოლადსასხმელი საამქროს მშენებლობა. კარგად არის შერჩეული მუშათა კადრები. ესენი არიან ერთი მხრით კომკავშირის ც. კ. მიერ სამრეწველო ცენტრებიდან - მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, დონბასიდან, ხარკოვიდან, გორკიდან და სხვა პუნქტებიდან გამოგზავნილი კომკავშირლები, მეორე მხრით — ბურიატ-მონღოლეთ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ჯგუფი. ესენი ითვისებენ ინდუსტრიულ კულტურას და მათგან უახლოეს დროში გამოიჭედება მუშათა კვალიფიციური კადრები. სოციალისტურ ქალაქში უკვე აშენებულია და ახლაც გაძლიერებით შენდება მშვენიერ ფიჭვნარში და სოპკების ფერდობებზე ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლები. უკვე აშენებულია ჩინებული კლუბი, თეატრი, ორი ათწლედი - სკოლა, მთელი რიგი [illegible] კორპუსები, [illegible] და სხვა.

ამხანაგი კაგანოვიჩი დიდხანს ჩერდებოდა ჩარხებთან, ესაუბრებოდა ხარატებს, მექვაბეებს მეინსტრუმენტეებს. დიდხანს გაგრძელდა საუბარი ორ ძმა ხარატთან ბორისსა და ვიქტორ გრიტუსებთან. ისინი მამასთან ერთად მოვიდნენ ქარხანაში და ამჟამად ქარხანაში მუშაობენ სამი კომკავშირელი შვილი და მამა. ისინი სტახანოველები არიან. ბორისი დეტალების მოხარატების დროს იყენებს თავის მიერ გაუმჯობესებულ საჭრისს. ეს საჭრისი გადაიღო მისმა ძმამ და ორივე ძმა ნორმას 400-500 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

სახკომი დაწვრილებით ეკითხებოდა მუშაობისა და იმის შესახებ, თუ როგორ ითვისებენ კვალიფიკაციას, ეუფლებიან ტექნიკას ახალგაზრდა ბურიატ-მონღოლი მუშები ზუმბაროვი, ალმანოვი და ათოხი. სხვები. ის კითხულობდა, თუ როგორ მიდის სწავლის საქმე, მზრუნველობით გამოიკითხა მათი ყოფაცხოვრება, ეინტერესებოდა მათი შემოსავალი, უზრუნველყოფა ბინით და ყოველ თავის მოსაუბრეს უნერგავდა სიმხნეს, სიხარულისა და გამარჯვების რწმენის გრძნობას. საღამოს, მუშების საცხოვრებელი ბინების დათვალიერების შემდეგ, ამხ. კაგანოვიჩმა მონაწილეობა მიიღო საორთქლმავლო-სავაგონო ქარხნის აქტივისა და სტახანოველთა თათბირში, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე რკინიგზის კვანძის, ქალაქისა და რესპუბლიკის აქტივი და კომკავშირელთა კონფერენციის დელეგატები.

ნათელი, არქიტექტურულად ჩინებულად გაფორმებული დარბაზი ქარხნის ახალი კლუბისა მთლად გაჭედილი იყო. თავის მხურვალე სიტყვაში, რომელსაც აწყვეტინებდნენ შეკრებილთა მქუხარე ოვაციები, ამხანაგი კაგანოვიჩი შეჩერდა ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე, მის წინაშე მდგარ ამოცანებზე როგორც სამეურნეო და კულტურულ განვითარების, ისე დიდი საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების დარგში. მან ნათლად დაახასიათა საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ პარტიისა, მთავრობისა, ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით რკინიგზის ტრანსპორტმა, როგორც სოციალისტური მეურნეობის სხვა დარგებმაც, უკანასკნელ წელს დიდ გამარჯვებებს მიაღწია. ულან-უდის კვანძის რკინიგზელები და საორთქლმავლო ქარხნის მუშები მხარდამხარ მიჰყვებიან რკინიგზის ტრანსპორტის საერთო ზრდას და ბურიატ-მონღოლეთის საბჭოთა რესპუბლიკის აყვავებას.

ლაზარე მოისეის-ძემ აღნიშნა ულან-უდის ქარხნის მშენებელთა დამსახურება, რომელნიც წარმატებით ამთავრებენ ამ გიგანტის მშენებლობას ახლა ჯერი მიდგა ქარხნის სწრაფად ათვისებაზე. ქარხნის საწარმოო ძლიერება გაცილებით მაღლა დგას იმ მუშაობაზე, რომელსაც ქარხანა ამჟამად ასრულებს. ქარხანამ უნდა შეასრულოს გაცილებით მეტი რაოდენობის ორთქლმავალთა და ვაგონთა კაპიტალური რემონტი, აამაღლოს რემონტის ხარისხი, მოაგვაროს სათადარიგო ნაწილების მასობრივი დამზადება ორთქლმავალთა დეპოებისა და ვაგონსარემონტო პუნქტებისათვის აღმოსავლეთის რკინიგზებზე, შეუდგეს ახალი ორთქლმავალთა-მშენებლობის ათვისებას.

შეკრებილნი აღფრთოვანებულ ოვაციას უმართავენ ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ კაგანოვიჩს, სახკომის სიტყვის დამთავრების შემდეგ დიდხანს გაისმის „ვაშა" ხალხთა ბელადის, საყვარელი სტალინის პატივსაცემად.

თათბირის დასასრულს ულან-უდის მეორთქლმავლეთა წარმომადგენელი კრივონოსელი ლაზარენკო აცნობებს კრებას, რომ სახკომი არჩეულია დეპოს საპატიო მემანქანედ და წინადადება შემოაქვს, რათა ხუთი მარტიდან რკინიგზის ტრანსპორტზე მოეწყოს საკავშირო სტახანოვური დეკადა. ბურიატ-მონღოლეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. დამპილონი აუწყებს ამხანაგ კაგანოვიჩს, რომ ის საბჭოთა ყრილობაზე არჩეულია ბურიატ-მონღოლეთის ცაკის საპატიო წევრად. მიართმევს მას საწევრო ბილეთსა და საჩუქარს — ნაციონალურ კოსტუმს — ხალათს ქამრით, რომელსაც ამხ. კაგანოვიჩი იცვამს და რასაც მოსდევს მთელი დარბაზის მქუხარე ტაში. თათბირის დამთავრების შემდეგ გაიმართა ბაიკალის მხრის გზის მუშაკთა სამხატვრო თვითმოქმედების კონცერტი. (ადს).

ინგლისელი მეცნიერები სსრ კავშირის შესახებ

ლონდონი, 19 თებერვალი. („პრავდის" საკ. კორესპონდენტი). გუშინ ლონდონის ეკონომიური ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა კონფერენცია დაგეგმვის საკითხების შესახებ. კონფერენცია ერთა ლიგის მეგობართა კავშირმა მოიწვია.

კონფერენციაზე ცენტრალური ადგილი დაიკავა სსრ კავშირში სოციალისტური დაგეგმვის საკითხმა. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია: პროფესორები, სტუდენტები, ჟურნალისტები, ფილანტროპიული დაწესებულებების წარმომადგენლები და სხვ. არა ნაკლებ მრავალფეროვანია კონფერენციის მონაწილეთა პოლიტიკური შეხედულებანიც. კერძოდ, კონფერენციაზე ცოტანი არ არიან კონსერვატორები. ამიტომ აღსანიშნავია, რომ არავინ არ გამოსულა და არ ულაპარაკნია სსრ კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი კილოთი. ორატორთა უმრავლესობა, პირიქით, გატაცებით ლაპარაკობდა სოციალისტური დაგეგმვის წარმატებათა შესახებ.

ერთერთმა პროვინციელმა დელეგატმა განაცხადა:

„სსრ კავშირში მიღწეულია კეთილდღეობის ისეთი დონე, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისათვის მიუწვდომელია. სულ მოკლე ხნის შემდეგ სოციალისტური აყვავება საბჭოთა კავშირში ისეთი განსაცვიფრებელი, ისეთი თვალსაჩინო გახდება, რომ ძნელი იქნება თავიდან ავიცილოთ იმ იდეის გავრცელება, რომლის თანახმადაც მთელმა მსოფლიომ უნდა მიჰბაძოს იმ ქვეყნის მაგალითს, რომელმაც აღმოფხვრა კრიზისი და უმუშევრობა".

მემარჯვენე აზრების კაცმაც კი, როგორიც არის ლიდსის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდსონი, თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა: „ეკონომიური აღმშენებლობა სსრ კავშირში თანდათან უფრო მეტ გავლენას მოახდენს მთელს მსოფლიოზეო" (ადს).

□ □ □

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

მემარჯვენე დეპუტატების კინკლაობა

პარიზი, 19 თებერვალი. ფაშისტური დემაგოგების გამოსვლა დეპუტატთა პალატის გუშინდელ სხდომაზე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის შესახებ პრესის მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთებას იწვევს. მრავალი გაზეთი აღნიშნავს, რომ ფაშისტების განცხადებას, თითქოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება საფრთხეს უქმნიდეს გერმანიას, ზიანი მოაქვს უწინარეს ყოვლისა საფრანგეთისათვის და საფრანგეთის ინტერესებისათვის. ეს გაზეთები აღნიშნავენ, რომ მემარჯვენენი თავიანთი განცხადებებით, თითქოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მიმართული იყოს გერმანიის წინააღმდეგ, პირდაპირ მოუწოდებენ გერმანელებს ლოკარნოს ხელშეკრულების გაუქმებისა და რეინის დემილიტარიზებული ზონის დარღვევისაკენ.

გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ მემარჯვენე დეპუტატ ფრანკლენ ბუიონის აღშფოთებას, რომელმაც ფაშისტური ლიგის „ჟენეს პატრიოტის" ლიდერის ტეტენჟეს გუშინდელი სიტყვის დროს ვერ შეიკავა თავი და თავის თანამოაზრეს შეაწყვეტინა სიტყვა შენიშვნით, რომ ის არაჩვეულებრივ სისულელეს ლაპარაკობს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სიტყვასიტყვით [illegible] ფრანკლენ ბუიონისა და ტეტენჟეს შეკამათება, როგორც იგი დღეს დაბეჭდილია დეპუტატთა პალატის ოფიციალურ ანგარიშში. ტეტენჟემ, რომელიც მოუწოდებდა მთავრობას გერმანიასთან დაახლოვებისა, ვერ იპოვნა უკეთესი „საბუთი" თავისი მოწოდებისათვის, გარდა იმისა, რომ განაცხადა — ამ დღეებში ფრანგ ფეხბურთელებს გულთბილი მიღება გაუმართეს ბავარიაშიო.

ფრანკლენ ბუიონი (ადგილიდან): გევედრებით, ნუ ლაპარაკობთ ამისთანა რამეს, ვინაიდან ჩვენ უცხოეთში დაგვცინებენ (ტაში ცენტრში და პალატის მემარჯვენეთა სკამებზე).

ტეტენჟე: მე არა მსურს მივიღო ვინმესგან მითითებები ამ საკითხის შესახებ.

ფრანკლენ ბუიონი: მაგრამ პირდაპირ სასაცილოა მოიყვანოს კაცმა როგორც არგუმენტი მიღება, რომელიც [illegible] ფეხბურთელებს გაუმართა სახელმწიფომ, რომელსაც თავისივე მრავალი განცხადებით სწყურია ჩვენი განადგურება (ტაში ცენტრში და მემარჯვენეთა სკამებზე).

ტეტენჟე: — ნუ გავიწყდებათ, რომ საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდის სათავეში დგას ჩვენი სამხედრო გუნდი და გერმანელებმა ტაში დაუკრეს ჩვენს მარნისა და ვერდენის გმირებს.

ფრანკლენ ბუიონი: უმჯობესი იქნება წაიკითხოთ ჩემბერლენის, რომელიც მომხრე იყო გერმანიასთან დაახლოვებისა, და მაიორ ეტლის — მუშათა პარტიის ლიდერის, სიტყვები. მათ ორივემ აღიარეს, თუ რამდენად სცდებოდნენ და რამდენად ახლოა და სერიოზულია გერმანიის მუქარა. შეიძლება მაშინ მიხვდეთ, თუ რატომ გავხდი იძულებული შემეწყვეტინებინა თქვენთვის სიტყვა, როდესაც თქვენ ეგზომ ტრაგიკულ მომენტში შესაძლებლად ჩათვალეთ გეხსენებინათ, როგორც საბუთი, სპორტსმენებისათვის გამართული მიღება.

ამ შეტაკებას ხუმრობს მთელი პრესა, რომელიც ურთავს ამას ირონიულსა და ტეტენჟეს გამაბასრებელ შენიშვნებს.

„ევრი" სწერს: „ტეტენჟეს სიტყვა პირდაპირ უბადრუკი იყო".

„ერ ნუველი" იუმორისტულად შენიშნავს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიწუხოთ, რომ მემარჯვენეებმა ურცხვად და დაწვრილებით გამოსთქვეს თავისი თვალსაზრისი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ. „ვინაიდან ამას შეაქვს გარკვეულობა საშინაო საკითხებში ამიერიდან სავსებით აშკარაა —სწერს გაზეთი, — რომ ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი, უბრალოდ რომ ვთქვათ, არიან ჰიტლერის ადვოკატები საფრანგეთში, და არა საფრანგეთის ინტერესების დამცველნი. აღვნიშნოთ ეს გარემოება. მემარჯვენეთა მეორე მიზანი არის საშინაო მოსაზრებანი" (ადს).

□ □

იტალია-აბისინიის კონფლიქტის გადაწყვეტის პერსპექტივები

პარიზი, 19 თებერვალი. მთელი რიგი გაზეთები ჩერდება დღეს იტალიელთა ჯარების უკანასკნელ წინწაწევაზე აღმოსავლეთ აფრიკაში და იმ გავლენაზე, რომელსაც ეს წინსვლა იტალია-აბისინიის ომის დამთავრებაზე ახდენს. „ტანის" აზრით, მიუხედავად იტალიის ჯარების უკანასკნელი წინწაწევისა, ჯერ არა სჩანს რომსა და ადის-აბებას შორის პირდაპირი მოლაპარაკების პერსპექტივები. აბისინია ალბათ გადაწყვეტილებით განაგრძობს კამპანიას. გაზეთი ფიქრობს, რომ შემარიგებელი პროცედურის ინიციატივა თვითონ იტალიისაგან უნდა გამოდინარეობდეს. „ევრი" სწერს, გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ აბისინიაში იტალიის ჯარების უკანასკნელი ოპერაციების პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის სამხედრო ტექნიკა ბევრად უმჯობესია აბისინიელთა შეიარაღებაზე, იტალიის არმიამ ოთხთვენახევრის ომის განმავლობაში მაინცდამაინც ძალიან წინ ვერ წაიწია და ფაშისტურმა იტალიამ, რომელსაც ომის დაწყებისას ეგონა, რომ რამდენიმე კვირაში მიიპოვებდა გამარჯვებას, ვერ შესძლო წაწეულიყო ტიგრეს პროვინციიდან ისე შორს, როგორც იტალიის ჯარებმა წაიწიეს 1895 წელს. „გასაგებია,—სწერს „ევრი", რომ იტალიის პრესამ მიიღო ბრძანება გაებეროს გენერალ ბადოლიოს ჯარების წარმატება უცხოეთისთვის დასანახველად" (ადს).

□ □

იტალია ხელს უშლის ავსტრიის დაახლოვებას მცირე ანტანტასთან

ვენა, 19 თებერვალი. ფლორენციიდან მიღებული ცნობით, იქ ჩასული იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი სუვიჩი აწარმოებს მოლაპარაკებას ფლორენციაში მყოფ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერგერვალდენგთან. ვენის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ერთის მხრით ავსტრიასა და მეორე მხრით იტალიასა და უნგრეთს შორის იბადება აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა მცირე ანტანტასთან დაახლოვების საკითხში, იმ დროს, როდესაც ავსტრიის მთავრობა და მეტადრე [illegible] კანცლერ შუშნიგის მეთაურობით აჩქარებს მცირე ანტანტასთან და პირველ რიგში ჩეხოსლოვაკიასთან დაახლოვების საქმეს და ამით აძლიერებს ავსტრიის საგარეო პოლიტიკის ძვრას საფრანგეთის და ინგლისისაკენ, რომსა და ბუდაპეშტში ავსტრიის ამ მისწრაფებებს მეტად თავშეკავებულად და თითქმის მტრულადაც იყურებიან (ადს).

□ □ □

საფრანგეთის მიერ ვაშინგტონისათვის წარდგენილი წინადადების გარშემო

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით ვაშინგტონიდან, საფრანგეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ინახულა სახელმწიფო დეპარტამენტი და აუწყა მას, რომ საფრანგეთის მთავრობა სთხოვს შეერთებული შტატების მთავრობას დასთანხმდეს სახაზო გემების ტონაჟის შემცირებაზე (ადს).

ლონდონი, 19 თებერვალი. თემთა პალატაში ლიბერალი მანდერი შეეკითხა პრემიერს: მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ, სახაზო გემების ტონაჟის შემცირების საკითხზე შეერთებულ შტატებთან შეთანხმების უზრუნველყოფის მიზნით, განხილულ იქნას საკითხი, თუ რამდენად სასურველია საშუალება მიეცეს ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტს ისარგებლოს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზებით. ბოლდუინმა უარყოფითად უპასუხა (ადს).

□ □ □

დამატებითი ასიგნობანი ინგლისის შეიარაღების გასაძლიერებლად

ლონდონი, 19 თებერვალი. შეიარაღებათა გასაძლიერებლად გამოყოფილი დამატებითი ასიგნობანი (7.811 ათასი გირვანქა სტერლინგი) ითვალისწინებს სამხედრო-საზღვაო სამინისტროს ხაზით ახალი თანხების დახარჯვას ბაჰრეინის კუნძულებზე ალექსანდრიაში, ჰიბრალტარზე და მალტაში. სამხედრო სამინისტრო აძლევს დამატებით თანხებს სინგაპურის გარნიზონის გასაძლიერებლად.

ავიაციის ხაზით უნდა დაიხარჯოს 1.700 ათასი გირვანქა სტერლინგი სპეციალური ღონისძიებებისათვის იტალია-აბისინიის ომთან დაკავშირებით. ავიაციას მიეცემა აგრეთვე დამატებითი თანხა სინგაპურის გამაგრების პროგრამის რეალიზაციის დაჩქარებასთან დაკავშირებით (ადს).

ა.-კ. კომკავშირის ორგანიზაციათა მე-7 ყრილობაზე

ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციათა VII ყრილობის 20 თებერვლის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. ახლაწოვა (ბაქო—სტალინის რაიონი), ხვაიძე (საქ. ალკკ ც. კ-ი), ბაბაიანი (ოქტომბრის რაიონი), სულთანოვა (კიროვაბადი), ვოლოშინი (სანაპირო დაცვის № ნაწილი), ფუნდუკიდი (აჭარის ჩაის პლანტაციების სტახანოველ ქალი), ნალბანდიანი, ალმას ალიევა (ორდენოსანი სტახანოველი ქალი), როზენგაფტი (ამია), მირზა მამედოვი (აზერბეიჯანი), ანანიაშვილი (თიანეთი), კამინსკი (ა.-კ. რკინიგზის მე-4 განყოფილება), დარბნი (ერევანი), რ. დალაქიშვილი (ტფილისი—ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონი), ზუბნოვი (კასპიის ფლოტი), ბედულინა (ბაქო), გრიგორიანი (ა.-კ. რკინიგზის მეხუთე რაიონი), ძიძიგური (სოხუმი), ვიშნევსკი (ბაქო), არუტჩევი (ერევნელი მხატვ ა), ხაბახტარაშვილი (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი).

ამხედ ბეილის კოლმეურნეობის სტახანოველმა, ლენინის ორდენით დაჯილდოვებულმა ამხ. ალიევამ ყრილობას უამბო თუ როგორ დაიწყეს კოლმეურნეებმა კულტურულად და შეძლებულად ცხოვრება. მან ილაპარაკა იმაზე, რომ იგი, 45—50 კილოგრამი ბამბის ნაცვლად, კრეფდა 280 კილოგრამს, მთელი რიგი სტახანოველები, რომლებმაც მის მაგალითს მიჰბაძეს, კრეფდნენ თითო 250-260 კილოგრამს. მიწა, რომელიც წინათ ხანებს, ბეგებს და მოლებს ეკუთვნოდათ, ახლა კოლმეურნეობისაა, ეს შეგნება ახალ ძალას ჰმატებს კოლმეურნეებს. ამხ. ალიევა კრემლში მიღების დროს დიდ სტალინს დაჰპირდა, რომ კიდევ უკეთ იმუშავებს და იკისრა 1936 წელს მოკრიფოს დღეში 300 კილოგრამამდე ბამბა და ასწავლოს 200 კოლმეურნეს ბამბის ორივე ხელით მოკრეფა. ამხ. ალიევას რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით.

ამხ. როზენგაფტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტად გაუმჯობესდეს სამოქალაქო ორგანიზაციების კავშირი სამხედრო ორგანიზაციებთან. ამხ. როზენგაფტი განსაკუთრებით შეჩერდა ალპინიზმის და ჯირითის განვითარების საკითხებზე. მან მოუწოდა მხარის კომკავშირელებს ფართოდ განავითარონ სპორტის ეს სახეები.

ამხ. რ. დალაქიშვილი დაწვრილებით შეჩერდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონში (ტფილისი) კომკავშირულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგებზე, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში მუშაობის, აქტივთან მუშაობის საკითხებზე, კომკავშირული მეურნეობის ნაკლოვანებებზე. ამხ. დალაქიშვილმა ყრილობას გააცნო რაიონის საუკეთესო სტახანოველები, რომლებიც პარტიამ და კომკავშირმა აღზარდეს, — ამხ. გაჩეჩილაძე, ჰუნია, იარალოვი, მურადოვი, შენგელია, კანდელაკი და სხვ.

დილის სხდომის დასასრულს დიდი სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ხაფარ მუხეინოვი, რომელსაც დარბაზი ტაშით შეხვდა.

○

ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციათა VII ყრილობის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მოხსენების გარშემო.

კომკავშირის ბაქოს კომიტეტის მდივანმა ამხ. ვოლჩკოვმა აღნიშნა, რომ ბაქოში არის 20-მდე საწარმო და სარეწაო, სადაც კომკავშირელები მთლიანად გადავიდნენ მუშაობის სტახანოვურ მეთოდებზე. ლენინის სარეწაოს ბურღვის პირველი ჯგუფის, აზიზბეკოვის სარეწაოს ბურღვის პირველი ჯგუფის, შმიდტის სახელობის ქარხნის, ხაეთქარხანამშენის და ათობით სხვა საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები უახლოეს დროში გადადიან მუშაობის სტახანოვურ მეთოდებზე. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი წარმატებანია, რომლებიც არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს.

სომხეთის ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. შახბატიანი დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხ. ლ. ბერიას მოხსენების — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის“ — შესწავლას კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელში. ამხ. შახბატიანი აგრეთვე შეჩერდა კომკავშირელთა კულტურული დონის ამაღლებაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საქმეში ჩაბმულ იქნან კულტურული ძალები.

ამხ. მეიერი (ნარიმანოვის რაიონის, ტელმანის სახელობის გერმანელთა კოლმეურნეობა) ყრილობას გერმანულ ენაზე მიესალმა. ჩვენ, გერმანელები საბჭოთა კავშირში ბედნიერად, სამშვიდად და შეძლებულად ვცხოვრობთ,—სთქვა მან. თავის გამოსვლას ამხ. მეიერი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით. როტ ფრონტ“. ამხ. მეიერის უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მგელაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ სუბტროპიკულ ფრონტზე კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის საუკეთესო ნიმუშები მოგვცეს.

ყრილობას მიესალმნენ ნორჩ მაყურებელთა თეატრების და ტფილისის საბავშვო რკინიგზის წარმომადგენლები. ამხ. ხაჭიაშვილმა ნორჩ მაყურებელთა თეატრების ფრონტის—ტფილისის მოზარდ მაყურებელთა სამი თეატრის (ქართული, სომხური და რუსული) სახელით მხურვალე სალამი გადასცა ყრილობას და პრეზიდიუმს მიართვა ორი ალბომი.

ყრილობას აგრეთვე მიესალმა კალინინის სახელობის ქარხნის წარმომადგენელი.

ყრილობის საღამოს სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გიორგობიანი, რომელსაც დამსწრენი ერთსულოვანი და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ყრილობამ საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორად ჩასთვალა და მუშაობა მოიწონა. შემდეგ გამოიყო კომისია ამხ. გიორგობიანის მოხსენების ირგვლივ პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად.

საერთაშორისო მიმოხილვა

დ. იხოკი

ევროპის პოლიტიკის ძვრები

ევროპის პოლიტიკაში ცენტრალურ პუნქტად რჩება ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, რომელიც სულ უფრო და უფრო მწვავედ დგება ყველა ქვეყნის წინაშე.

იტალიის იმპერიალიზმს, რომელმაც შარშან ოქტომბერს დაიწყო თავისი ავანტიურა აფრიკაში, ეგონა, რომ კარგად მოწყობილი, ტექნიკურად მშვენივრად აღჭურვილი იტალიის არმია ტრიუმფალურად გაისეირნებდა აბისინიაში და თავის სურვილებს უკარნახებდა აბისინიის ნეგუსს ადის-აბებაში. მაგრამ ომის მსვლელობამ სულ აურია გზა-კვალი იტალიელებს. მართალია, პირველი კვირები აღნიშნა იტალიის არმიის გამარჯვებებით. ერთბაშად აიღეს მთავარი პუნქტები — ადუა, მაკალე და აქსუმი. იტალიის ფაშისტები დღესასწაულობდნენ ამ პუნქტების დაპყრობას, როგორც უდიდეს და თითქმის გადამწყვეტ გამარჯვებას. ფაშისტები ზეიმობდნენ, რომ აიღეს ადუა, რომელიც 40 წლის წინათ აბისინიის ჯარებმა ჩამოგლიჯეს იტალიის დროშა და გამანადგურებელი მძვინვარე ჩასცეს იტალიელებს. მაგრამ ეს სიხარული აშკარად არ გაამართლა ისტორიულმა ხანამ. 1896 წელს ადუის აღებით ომი თავდებოდა, ახლა კი ადუის დაპყრობა იყო ხანგრძლივი და გაფართოებული ომის მხოლოდ დასაწყისი. მართლაც ოთხი თვის ომმა არა თუ გადამწყვეტი გამარჯვებები არ არგუნა იტალიის ფაშიზმს, არამედ შეუქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც უფრო მწვავეა და უფრო დახლართული, ვიდრე შარშან ოქტომბერში.

იტალიის იმპერიალისტებს, რომელთაც აფრიკაში გაგზავნეს 400 ათასიანი არმია, მრავალრიცხოვანი ტანკებით ზარბაზნებით და აეროპლანებით, არ ძალუძთ არც აბისინიის ცოცხალი ძალის დამარცხება, არც ქვეყნის შიდა მნიშვნელოვან ცენტრებში შეჭრა. მთელი ბურჟუაზიული პრესა საერთოდ ერთსულოვანია აბისინიაში იტალიის ომის 4 თვის პერიოდის შეფასებაში. საქმეს გაცნობილი ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“ აჯამებს ომის შედეგებს აბისინიის ფრონტზე და აცხადებს, ეს არის ომი იტალიის „გაცრუებული იმედებისა“. იტალიის მარცხის ძირითადი მიზეზები შემდეგია. იტალიელებმა, რომელთაც პირველსავე მომენტში დაიპყრეს ადუა, შეცდნენ იმაში, რომ ერთგვარად მოულოდნელად დაესხნენ თავს, აბისინელებს, რომელნიც არ იყვნენ მომზადებული და ვერც შეძლეს დაეყენებინათ მტრის წინააღმდეგ საკმაოდ საგრძნობი სამხედრო ძალა. აბისინიის ახალი ჯარები არის ის ძალა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამარცხებს იტალიელთა შეტევას. აბისინელთა პარტიზანული მოქმედება, რომელთაც კარგად იციან ადგილობრივი პირობები, მეტად აწუხებს იტალიის ჯარებს. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველაზე მაღალი ტექნიკა სავსებით გამოსადეგი ვერ არის აბისინიის პირობებში. უდიდესი სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ, იტალიის არმიას სტანჯავს თავისივე აღჭურვილობის სიმძიმე. კადრის ხაზით ბრძოლა ერთეულთათვის საჭირო ხდება შენახვა დიდძალი ხალხისა, რომელთაც მოაქვთ სურსათი, წყალი, გაჰყავთ გზები ზურგთან დასაკავშირებლად და ს. ტექნიკური — გაუმჯობესებანი იტალიელებს ბორკილად აქვთ გაყრილი ფეხებში და უშლით მათ მოძრაობას. მძიმე კლიმატური პირობები, წყლის უქონლობა უდაბნოში, სიცხე, აურებელი ტროპიკული სენი — ათასობით ხოცავს ახალგაზრდა იტალიელ ჯარისკაცებს.

იტალიის საინჟინრო ტექნიკურმა ჯარებმა გაიყვანეს გზები ფრონტის დასაკავშირებლად ზურგთან, მაგრამ ამ გზებმა ვერ გაუძლეს პირველსავე ეგრეთწოდებულ მცირე ტროპიკულ წვიმებს. აპრილში კი, როდესაც დაიწყება დიდი წვიმები, გზები სრულებით აღარ ივარგებს ტანკებისა, არტილერიისა და არმიის უზარმაზარი საბარგულების გადასატანად. ამის გარდა, გაყვანილი გზები სრულებით არასაკმარისია მეტად ჯარების გადაჯგუფებისა და გადაზიდვისათვის ფლანგიდან ფლანგზე, ან ფლანგიდან ცენტრში, რომელსაც განსაკუთრებით აწვებოდნენ აბისინელები.

ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ოთხი თვის ომის შემდეგ იტალიელებს მოელით საფრთხე დაჰკარგონ მაკალე, რის აღებაზეც ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ.

მარცხს ფრონტზე მოსდევს ის, რომ იტალიის შიგნით, თვით „ტაიმსის“ მოწმობითაც კი, მატულობს ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც დაჰკარგეს იმედი ომის მიზანშეწონილობისა. ეს იმედისდაკარგვა მოსახლეობის უფრო მეტ წრეებს ედება და არამარტო მუშებსა და გლეხებს, რომელნიც უფრო აშკარად აცხადებენ პროტესტს ომის გაგზავნის წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიის ცალკეულ ფენებსაც. იტალიის ოქროს მარაგი სწრაფად დნება და უფრო საგრძნობი ხდება სასურსათო სიძნელეები.

○

ომმა აფრიკაში უკვე იქონია თავისი გავლენა ევროპის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია პოზიცია ავსტრიისა, რომელიც უკანასკნელ დრომდე სისტემატურად იტალიის ორიენტაციის გზას იდგა. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს, რომ ავსტრია, ეგრედწოდებული და რა თავის სპეციალურ ინტერესებს, არ შეერთებია ჟენევაში გადაწყვეტილებას იტალიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენების შესახებ. ავსტრია გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მის დამოუკიდებლობას ემუქრება, უშუალო დახმარებას ელოდა იტალიისგან, თუმცა საფრანგეთიც და ინგლისიც აძლევდნენ მისი დამოუკიდებლობის გარანტიას. ავსტრიის ფაშისტ ხელმძღვანელები შტარემბერგი და სხვები სულ ჰაბსბურგთა მონარქიის აღდგენის გეგმებს დატრიალებდნენ. ამ გეგმებს ემხრობოდნენ იტალიაში და ბუნებრივია, რომ ისინი შეშფოთებას იწვევდნენ მცირე ანტანტის წრეებს შორის, მეტადრე სამხრეთსლავიის მხრით.

იტალია დაუცხრომლად ეძებს შესაძლებლობას განიმტკიცოს და გააფართოვოს თავისი ბაზა ბალკანეთში და დუნაიზე. იტალიის იმპერიალიზმმა მიაღწია ერთგვარ დაახლოვებას უნგრეთთან, სადაც ძლიერია რევიზიონისტული მიმდინარეობა, ე. ი. მისწრაფება გადასინჯულ იქნას ომისშემდგომი ხელშეკრულებანი. იტალია მფარველობდა და მფარველობს დუნაის ფედერაციის ყოველგვარ პროექტს, რომლითაც მას პირველობა ერგება.

როდესაც იტალია-აბისინიის ომი დაიწყო, იტალიამ განაცხადა: საკმაო ჯარი მყავს, რათა დავიცვა ჩემი ინტერესები ევროპაშიაც. ამით მან გადაკვრით უთხრა ავსტრიას, სამხედრო დახმარება უზრუნველყოფილია.

მაგრამ ომმა აფრიკაში, ინგლის-იტალიის ურთიერთობის გამწვავებამ და საფრანგეთ-იტალიის დამოკიდებულებათა მერყეობამ გერმანიის ფაშიზმის გამო მზარდი შეშფოთების ფონზე გამოიწვია მნიშვნელოვანი ძვრები ევროპის პოლიტიკურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც კენაც მიპყრობილი აქვთ თვალი გერმანიასაც და იტალიასაც.

იტალიამ მოახერხა დაკავშირებოდა ავსტრიასა და უნგრეთს სავაჭრო ხელშეკრულებებით იმ დახმარების გარდა, რომელსაც იტალია უწევდა მონარქისტულ რესტავრაციულ ჯგუფებს უნგრეთსა და ავსტრიაში. იტალია სამხრეთ-სლავიასთან დაახლოვებაზეც კი დათანხმდა, რომელიც მისი უმთავრესი მეტოქეა ბალკანეთში. 1935 წლის დამდეგს იყო მომენტი, როდესაც საფრანგეთის გავლენა მცირე ანტანტის ქვეყნებში თითქოს შეირყა. საერთაშორისო საკითხების ცნობილმა მცოდნემ ფრენკ საიმონდსმა (ამასწინათ გარდაიცვალა) თავის უკანასკნელ ნაშრომში „მშვიდობიანობის ფასი“ შემდეგნაირად შეაფასა საერთაშორისო სიტუაცია 1935 წლის დამდეგისათვის:

„მდგომარეობა დუნაიზე ხანგრძლივ იყო მოცული. კულისებში მუშაობდა მრავალი ძალა საფრანგეთის საწინააღმდეგოდ, ხანდახან [illegible] ბოდა, თუმცა მისი სრულიად [illegible] არავითარ შემთხვევაში საჭირო არ იყო რომში მიღწეულ საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებას იმ საკითხებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე რუმინეთისა და [illegible]. შეუძლებელია შეცდეთ იმაში, თუ რა შედეგები აქვს მცირე ანტანტის ქვეყნებისათვის საერთოდ და სამხრეთ სლავიისათვის კერძოდ ამ შეთანხმებას“.

იტალიის დიპლომატიურ წარმატებებთან ერთად წლის დამდეგს შეიძლებოდა აღნიშნულიყო გერმანიის ფაშიზმის ეკონომიური ექსპანსია ბალკანეთში, სადაც ხშირად მოგზაურობდნენ გერმანიის ფაშიზმის აგენტები — გერინგი და სხვები, მაგრამ აფრიკის ომმა და გერმანიის მზარდმა შეიარაღებამ გამოიწვიეს მხოლოდ ორივე ქვეყნის მეტი იზოლაცია და მშვიდობიანობის მეგობართა შემჭიდროება. საფრანგეთის გაზეთი „ბიულეტენ კოტიდიენ“ სწორად შენიშნავს:

„ვენაში ფიქრობენ, რომ აბისინიის ომი წელს არ დასრულდება და მას შეუძლია გაგრძელდეს კიდევ ერთი წელი. იტალიას ცენტრალურ ევროპაში გადამწყვეტი ფაქტორის როლის თამაში აღარ შეუძლია“.

აი რატომ არის, რომ ავსტრიამ ამას წინათ თავისი კანცლერი შუშნიგი გაგზავნა პრაღაში, რათა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს ჩეხოსლოვაკიასთან, რომელთანაც მას აქამდე მეტად ბუნდოვანი ურთიერთობა ჰქონდა. ავსტრია ცდილობს დაუახლოვდეს მცირე ანტანტის წრეებს, როგორც ეს დაგვანახა ამასწინანდელმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ ლონდონსა და პარიზში. დამახასიათებელია, რომ ავსტრიის ვიცე-კანცლერმა შტარემბერგმა, რომელიც ლონდონსა და პარიზს გამგზავრებისას საქვეყნოდ აცხადებდა ჰაბსბურგების მონარქიის აღდგენის აუცილებლობას ავსტრიაში, პარიზში ხმა დაიდუმლა და უარიც კი თქვა კანდიდატ ოტო ჰაბსბურგთან შეხვედრაზე, რომელიც იქ უნდა მომხდარიყო.

„დაჰკარგა რა იტალიის დახმარების იმედი, —სწერს ინგლისის ჟურნალი „ეკონომისტი“, — ავსტრიამ დახმარება სხვა ადგილას უნდა ეძიოს“.

პარიზსა და ლონდონში სწარმოებდა აგრეთვე გაცხოველებული მოლაპარაკება რუმინეთისა, ბულგარეთისა და სამხრეთ-სლავიის წარმომადგენლებთან. ევროპის პრესა აღნიშნავს, მოლაპარაკებათა ძირითადი აზრი ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მცირე ანტანტის ქვეყნების უშიშროება. ბულგარეთიც კი, სადაც იტალიის გავლენა უკანასკნელ დრომდე ძლიერი იყო, ცდილობს კონტაქტი დაამყაროს მცირე ანტანტასთან და ბალკანეთის ანტანტასთან, რაც უფრო მეტად ართულებს იტალია გერმანიის ფაშიზმს, მით უფრო ძლიერია შეშფოთება დუნაის ქვეყნებში. ზემოხსენებული სიახლენი იძლევა ამ ცვლილებათა და ძვრების განმარტებას, რომელნიც უკვე დიდხანია, დახსნილია ევროპაში და რომელნიც ახლა უფროდაუფრო რეალურ გამოხატულებას ჰპოვებენ.

„ღრმა საყოველთაო უნდობლობამ გერმანიის ფაშიზმის ურყევლობისადმი და უფროდაუფრო რეალურმა ეკონომიურმა კრიზისმა ძლიერი გავლენა მოახდინა ევროპის სატახტო ქალაქებში“.

შემდეგ საიმონდსი იუწყება დიდ მკვლელობაზე რუმინეთში, დოლფუსისა ავსტრიაში და სამხრეთ-სლავიის მეფის ალექსანდრეს (ეს მკვლელობაში მონაწილეობდნენ ფაშისტების აგენტები), ამ მკვლელობებში „შეძრწუნდა ევროპა ძირიანფესვიანად“, და მდგომარეობა ისეთივე მერყევი გახდა, როგორც იყო 1914 წელს, როდესაც მთელი ხალხისათვის საკმარისი გახდა ერთი ინციდენტი“.

ამ რთულ გარემოებაში, ბუნებრივია, ყველა ქვეყანაში ჩნდება ტენდენცია ომის საშიშროებისაგან ურთიერთ დაზღვევისა ამ გარემოებაში, რასაკვირველია, ამხანაგ ლიტვინოვი, რომელმაც პირველმა წამოაყენა ლოზუნგი მშვიდობიანობის განუყოფლობისა და მოგვცა აგრესორის ზუსტი განსაზღვრა, უფროდაუფრო პოპულარული ფიგურა ხდება, მშვიდობიანობისა და კოლექტიური უშიშროების ყველა მომხრეთ შორის. მთელი ევროპის პრესა, როგორც მეგობრული, ისე მტრული აღნიშნავდა ამხანაგი ლიტვინოვის საუბართა გამარჯვებას ლონდონსა და პარიზში.

ძალიან ხმამაღლა ყვიროდა, ძალიან ცუდ სწამებდა გერმანიისა და იტალიის ფაშისტური პრესა, მაგრამ საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებები ურთიერთდახმარების შესახებ მშვიდობიანობის მნიშვნელოვან დასაყრდენად ხდება ევროპაში. ამ ხელშეკრულებებს, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი მიზნები აქვთ დასახული, უფროდაუფრო ფართოდ სცნობენ ინგლისსა და სხვა ქვეყნებში. „რეგიონალური პაქტები ურთიერთდახმარების შესახებ დამბადა უშიშროების დამყარების უიმედობის გრძნობამ, რასაც ყველგან განიცდიან“, — ასე ლაპარაკობდა ამხანაგი ლიტვინოვი 1934 წლის 22 ივლისს საფრანგეთის ჟურნალისტ ზაუერვეინთან საუბარში.

ფაშისტური პოლიტიკის სამწუხარო გამოცდილება აიძულებს შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უფროდაუფრო მეტად შეიგნონ საბჭოთა დიპლომატიის იდეა, რომ აუცილებელია ურთიერთდახმარების ორგანიზაცია.

ამ გამოცდილებას ამისკენ მივყავართ, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში უფროდაუფრო მწიფდება აზრი ომისაგან თავისი დაზღვევის მოგვარებისა და ფაშისტური აგრესიისაგან თავისი უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების ყრილობა

საქართველოს საბჭოთა არქიტექტურის ამოცანები

რა ამოცანები დგას ახლა საქართველოს არქიტექტორებისა და საერთოდ თანამედროვე საბჭოთა არქიტექტურის წინაშე, რა სტილი უნდა იქნას გამონახული და გამოყენებული მიმდინარე მშენებლობაში მთავარ მოტივად, ვისარგებლოთ თუ არა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მიღწევებით, როგორ უნდა გავიგოთ „ქართული სტილის“ პრობლემა და სხვ.—აი ასეთ საკითხებს შეეხნენ თავიანთ მოხსენებებში საქართველოს არქიტექტორთა პირველ ყრილობაზე პროფ. ი. ფირქესალი და პროფ. ნ. სევეროვი.

ქართულ არქიტექტურას 15 საუკუნის ისტორია აქვს. ხუროთმოძღვრებას საქართველოში ალბათ უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ანტიკურ ძეგლებს ჩვენამდე ისეთი რაოდენობით არ მოუღწევია, რომ შესაძლებელი იყოს უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლა. არქიტექტურული ძეგლები, პროფ. სევეროვის თქმით, საქართველოში გვხვდებიან მხოლოდ იმ პერიოდიდან, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული (მეოთხე საუკუნე).

ქართული არქიტექტურა, მთელი ამ 15 საუკუნის მანძილზე განიცდიდა ხან აყვავებას და ხან დაქვეითებას. წარსულში საქართველოს არქიტექტურის ოქროს ხანა იყო მე-7 და მე-12 საუკუნეები. თუ შევისწავლით ქართული არქიტექტურის ძველ ძეგლებს, გამოირკვევა, რომ ყველა ეს ძეგლი ქართველი შემოქმედების ნაყოფია, მაგრამ ძირითადი მოტივები, შემოქმედებითი საწყისები ამ ძეგლების შექმნისას იმდროინდელი არქიტექტურის მოწინავე პრინციპები იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში გამეფებული იყო ორგვარი სტილი: რუსული ამპირისა და ქართული ნაციონალური სტილი, რომელსაც იყენებდნენ უმთავრესად საეკლესიო მშენებლობაში რუსული ამპირის სტილი კი გამოყენებული იყო მთავრობის დაწესებულებათათვის შენობების აგებისას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლებიდანვე ჩვენში [illegible] ქართული საეკლესიო [illegible] კონსტრუქტივიზმი [illegible] მიმდინარეობა ახლა ჩვენთვის მიუღებელია. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს ისტორიული დადგენილების შემდეგ (სამხატვრო მუშაობის გარდაქმნის შესახებ 1932 წ. 23 აპრილი) დაიწყო მუშაობა თანამედროვე ეპოქის შესაფერისი სტილის გამოსანახავად და დღეს ამ ხაზით ქართველებით უკვე გვაქვს ღირსშესანიშნავი მიღწევები.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი არ უნდა ვთქვათ ქართული ხუროთმოძღვრების მდიდარ მემკვიდრეობაზე და უნდა ვისარგებლოთ მისი მიღწევებით, მაგრამ უნდა ვისარგებლოთ კრიტიკულად, თანამედროვეობასთან შეფარდებით, თორემ საეკლესიო სტილზე აგებულ სასახლეებში ჩვენი სტახანოველები სიამოვნებით არ შევლენ.

— შინაარსი სოციალისტური, ფორმა ნაციონალური. ეს ფორმულა ძალაში რჩება არქიტექტურულ პრობლემათა გადაჭრისასაც და ამ ფორმულით უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა არქიტექტორმა. ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ უნდა გადაჭრას საერთო სოციალისტური პრობლემები, მაგრამ უნდა გადაჭრას ქართული ფორმით. ჩვენი საბჭოთა არქიტექტორი უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული, კარგად უნდა იცნობდეს ძველი ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშებს, მას უნდა ჰქონდეს უნარი კრიტიკულად შეითვისოს და გამოიყენოს ძველი მემკვიდრეობა, იმუშაოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდით.

შემდეგ მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ცალკე ჩამოყალიბდეს სამრეწველო მშენებლობის საარქიტექტურო ცენტრი, ასევე საჭიროა ჩამოყალიბდეს საკოლმეურნეო საარქიტექტურო მუშაობის ცენტრი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე არქიტექტორთა კადრების მომზადებას და მიღებულ უნდა იქნას ზომები არქიტექტორთა ახალი თაობის უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

რას ამბობენ არქიტექტორები

მოხსენებების შემდეგ ყრილობაზე გამოაქვეყნეს ტაჯიკისტანის არქიტექტორთა მისასალმებელი დეპეშა, რასაც ყრილობა მხურვალე ოვაციით შეხვდა. ყრილობამ მიანდო პრეზიდიუმს საპასუხო მისასალმებელი დეპეშის გაგზავნა.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს არქიტექტორებმა მ. კალაშნიკოვმა, ვ. ქორქაშვილმა, შ. თავაძემ, ხ. ინწკირველმა, ლ. ზუმბაძემ, ბ. ლორთქიფანიძემ, შაბუნინმა (სამხ.-ოსეთი), მ. ჩხიკვაძემ, პროფ. ფრიდოლინმა (აზერბაიჯანი) და სხვ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე მშენებლობაში საჭიროა კრიტიკულად გამოვიყენოთ არა მარტო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობა, არამედ ძველი ბერძნული, რომაული, სომხური და სხვათა არქიტექტურული მემკვიდრეობაც. ძველიდან ჩვენ უნდა ავიღოთ მხოლოდ საუკეთესო და უარვყოთ ამ მემკვიდრეობის არქაული და შეუფერებელი ელემენტები.

20 თებერვლის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა არქიტექტორ ზ. ქურდიანის მოხსენება—ტფილისის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის შესახებ და ინჟ. ზუზოლლის თანამოხსენება საქართველოს კურორტების დაგეგმარების შესახებ.

სტახანოვური დეკადა ა.-კ. რკინიგზაზე

20 დეკემბრიდან ა.-კ. რკინიგზაზე დაიწყო სტახანოვური დეკადა. დეკადის პირველ დღესვე გზამ მუშაობა საუკეთესოდ ჩაატარა. ნორმით დაწესებულ 1.117 ვაგონისა და 1169 ცისტერნის ნაცვლად ამ დღეს დაიტვირთა 1343 ვაგონი და 984 ცისტერნა.

დატვირთვის საერთო გეგმა გზამ 143,3 პროცენტით შეასრულა.

აკ. თათარიშვილი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარი

სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლის 15 წელი

მენშევიკთა ბატონობის დროს კაპიტალისტური წყობილების საფუძველთა მთლიანად შენარჩუნების პირობებში, მეურნეობის საბოლოო ნგრევის და ქვეყნის გაღატაკების, ზოოლოგიური შოვინიზმის და ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის, მეზობლებთან დაუსრულებელი და უაზრო ომების პირობებში, ისეთ პირობებში, როცა არავითარ ძალას და საშუალებას არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ სისტემატურად ჩაეხშოთ მშრომელთა აჯანყებანი და გაენადგურებინათ ურჩი ქალაქები, რაიონები და ოლქები — მენშევიკური „დემოკრატიის“ ამ „ოაზისის“ პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების კულტურულ ამაღლებაზე. სკოლა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურის ყველა დარგი, რომლებიც მონოპოლურად ქართველი თავადების, აზნაურების და ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა, კრიზისისა და ნგრევის უბადრუკ მდგომარეობას განიცდიდა. ბურჟუაზიული ტრადიციების ყველაფერში ერთგულ მენშევიკურ მმართველებს არავითარი პრინციპული ცვლილებანი არ შეუტანიათ ცარიზმისაგან მემკვიდრეობად მიღებულ სახალხო განათლების სისტემაში.

მენშევიკურ საქართველოში სახალხო განათლებაზე გროშები იხარჯებოდა: 4 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 10 პროცენტი ქალაქებისა და ერობათა სახსრებიდან. 1919—20 წელს სკოლების საერთო რიცხვი ძლივს აღემატებოდა ათას ხუთასს, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა 150 ათას კაცს.

მოსწავლეთა გასვლა სკოლებიდან უდიდეს რაოდენობას აღწევდა. მასწავლებლები, რომლებიც მთელი წლობით ვერ ღებულობდნენ ისედაც ღატაკურ ხელფასს, ხშირად აცხადებდნენ გაფიცვებს, რის გამო სკოლები არ მუშაობდნენ რეგულარულად. სკოლას ჩამოშორდა მასწავლებელთა საუკეთესო კადრები.

ინდუსტრიულ-აგრონომიულ განათლებას სავსებით უგულებელჰყოფდნენ. მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში დაარსებული ტფილისის უნივერსიტეტი იდეალისტური ფილოსოფიის; ბურჟუაზიული სიტყვიერების, ბურჟუაზიულ „კლასიციზმის“ და ჰუმანიტარიზმის პროპაგანდის ასპარეზს წარმოადგენდა. უნივერსიტეტში სრულიად ვერ ჰპოვა ადგილი მათემატიკამ, ტექნიკურმა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ. დამახასიათებელია, რომ თავისი დიქტატურის მთელს მანძილზე ნ. ჟორდანიას მთავრობამ უნივერსიტეტის შესანახად დახარჯა 75 ათასი მანეთი ქართული ბონებით.

მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაადგა საქართველო ქვეყნის მთელი ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის გზას და აქედან იწყება მისი კულტურული მშენებლობის ნამდვილი გაშლა. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე, რაც უზრუნველჰყოფს მშრომელთა ფართო მასების ინიციატივისა და აქტივობის ნამდვილ გამოვლინებას, სამეურნეო მშენებლობის უდიდეს წარმატებებთან ერთად შესაძლებელი გახდა ის უმაგალითო გაქანება, რომელიც თავის წინსვლაში მიიღო კულტურულმა რევოლუციამ საბჭოთა საქართველოში.

საქართველოს კომუნისტური პარტია, განუხრელად ხელმძღვანელობს რა დიდი სტალინის მითითებებით, ძლევამოსილად აშენებს ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ნაციონალური კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გამარჯვებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სავსებით განხორციელდა დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლება, ამასთან ისეთ ჩამორჩენილ მთიან და ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებშიაც კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს დაწყებითს სკოლაში ჩაბმულ სასკოლო ასაკის ბავშვთა რიცხვი არ აღემატებოდა 3—4 პროცენტს და სადაც ძალიან სუსტი იყო კულტურული მუშაობის გაშლის წანამძღვარი (ნაციონალური პედაგოგიური კადრების უყოლობა და სხვ.). დაწყებითი საყოველთაო სწავლების განხორციელებამ გამოიწვია დაწყებითი სკოლის ქსელის და მოსწავლეთა რიცხვის სწრაფი ზრდა. 1928-29 სასწავლო წელს რესპუბლიკაში იყო 2.566 დაწყებითი სკოლა, რომლებშიაც მოსწავლეთა საერთო რიცხვი 234 ათას კაცს უდრიდა, მიმდინარე 1935—36 სასწავლო წელს, როცა საყოველთაო სავალდებულო სწავლება მთლიანად განხორციელებულია, დაწყებითი სკოლის ქსელი 4.053 სასკოლო ერთეულისაგან შესდგება, რომლებშიაც 448 ათასი კაცი სწავლობს.

მშრომელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილება გადაუდებლად აყენებს არასრული და სრული საშუალო სკოლების ქსელის სწრაფად გაფართოების საკითხს. ამჟამად საქართველოში არის ათასზე მეტი არასრული საშუალო სკოლა, ნაცვლად 115 სკოლისა 1920 წელს. არასრულ საშუალო სკოლებში 143.413 კაცი სწავლობს. საყოველთაო სწავლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში უკვე განხორციელებულია ყველა ქალაქში, სამრეწველო რაიონებში და ისეთ ადგილებში, სადაც მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი არსებობენ. საყოველთაო სწავლება ყველგან და მთლიანად 1937—38 სასწავლო წლის დამთავრდება.

მიმდინარე სასწავლო წელს მთელს საქართველოში ჩვენ გვაქვს 220 საშუალო სკოლა, რომლებშიაც ჩაბმულია 23.675 მოსწავლე. ამგვარად, მასობრივი საერთო განათლების სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი ამჟამად 615 ათას კაცს აღწევს, და ეს იმ დროს, როცა მენშევიკთა ბატონობის პერიოდში იგი 150 ათასს უდრიდა.

15 წლის განმავლობაში უდიდესი მუშაობა ჩატარდა ნაციონალური პედაგოგიური კადრების შესაქმნელად და უკვე მიღწეულია ისეთი მდგომარეობა, რომ წინათ ყველაზე ჩამორჩენილ ეროვნებათა სკოლებსაც უახლოეს მომავალში სავსებით უზრუნველჰყოფენ კადრებით სტაციონარული პედაგოგიური ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები. თუ 1920 წელს დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლების მასწავლებელთა რიცხვი 5.833 კაცს უდრიდა, ამჟამად მათი რიცხვი 18.583 კაცს აღწევს. დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების მასწავლებელთა მომზადების ამოცანა დაკისრებული აქვს 56 პედტექნიკუმს და 5 სამასწავლებლო ინსტიტუტს, მენშევიკების დროს კი იყო ორი სამასწავლებლო სემინარია და ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი.

აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანს —სკოლამდელ აღზრდას საქართველოში სრულიად არ ჰქონია ტრადიციები. იგი წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ პირმშოს. 15 წლისთავისათვის რესპუბლიკაში მოიძებნება 680 სკოლამდელი საბავშვო დაწესებულება (საბავშვო ბაღები, კერები და სხვ.), რომლებშიაც ჩაბმულია 42.360 ბავშვი.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი, სრულიად ახალი დარგებისათვის (ჩაი, ციტრუსები, ეთეროვანი კულტურები, ბამბა, თამბაქო და სხვ.) საჭირო კადრების მომზადების მიზნით შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, საბჭოთა მეურნეობების სკოლების და სხვადასხვა სპეციალობის ტექნიკუმების მთელი ქსელი — მათი რიცხვი 250-ს აღემატება.

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება ჩვენი სკოლის მატერიალური სასწავლო ბაზა. იმ დროს, როცა კრიზისით შერყეული კაპიტალისტური ქვეყნები ხურავენ სკოლებს და ბავშვებს ქუჩაში ჰყრიან, ამცირებენ მასწავლებელთა რიცხვს და ჰკვეცენ ხელფასს, — ჩვენს ქვეყანაში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, წლითიწლობით იზრდება ასიგნობანი სკოლისათვის,—საბჭოთა საქართველო სახალხო განათლებაზე თავისი ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ხარჯავს. 15 წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა 1.000-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა.

სხვადასხვა სპეციალობის 19 უმაღლეს სასწავლებელში (სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიული, სამშენებლო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტი, პედაგოგიური, სამხატვრო და მუსიკის უმაღლესი სასწავლებლები და სხვ.), რომლებსაც სახელმწიფო ინახავს, დაახლოვებით 2 ათასი პროფესორის და დოცენტის ხელმძღვანელობით 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში საგრძნობლად გაიშალა სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ქსელი: თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში არცერთი სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულება არ ყოფილა, ახლა, ლაბორატორიების, მუზეუმების (22), სამეცნიერო ბიბლიოთეკების (76), საცდელი სადგურების და სხვ. საგრძნობ რაოდენობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ 120 სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულება გვაქვს.

საქართველოს სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოწყობილ სამეცნიერო ინსტიტუტებს: გეოლოგიის, მინერალოგიის, ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის, მათემატიკისა და მექანიკის, გეოგრაფიის, ენისა და ლიტერატურის და სხვ. 1932 წელს ტფილისში შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, რომლის სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს მის სისტემაში შემავალ მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში. საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებანი მუშაობენ საბჭოთა მეცნიერების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეთა ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით, როგორიც არიან აკადემიკოსები პისარჟევსკი და ი. მეშჩანინოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრები - კორესპონდენტები მუსხელიშვილი, ნიკიფოროვი, პროფესორები ბერიტაშვილი, ხოხნოვსკი, ჯანელიძე, თვალჭრელიძე, გედევანიშვილი, ზავრიევი, კუპრაძე, ხარაძე და სხვ.

საქართველოს სწავლულთა სამეცნიერო გამოკვლევანი და ნაშრომები, განსაკუთრებით მათემატიკის, გეოლოგიის, მინერალოგიის და ფიზიოლოგიის დარგში, თავიანთი სამეცნიერო მნიშვნელობით სცილდებიან საბჭოთა კავშირის ფარგლებს. სწრაფად იზრდება სამეცნიერო მუშაკთა კადრები: ამჟამად სამეცნიერო მუშაობისათვის 600-ზე მეტ ასპირანტს ვამზადებთ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლები—ეს არის ქართველი ხალხის ნამდვილი სულიერი აღორძინების წლები. მისი სულიერი აღორძინების და დიდი კულტურული ზრდის საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ნაციონალური ხელოვნების უჩვეულო აყვავება ჩვენს ქვეყანაში.

ქართულმა საბჭოთა თეატრმა არსებობის 15 წლის მანძილზე მიაღწია ისეთ სიმაღლეს, რომელიც ბევრად აღემატება წარსულში მისი განვითარების საუკეთესო პერიოდის დონეს. ჩვენი აკადემიური თეატრების ისეთი დადგმანი, როგორიცაა „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, „ურიელ აკოსტა“, „ანზორი“, „ინტერვენცია“, „პლატონ კრეჩეტი“—სამართლიანად არიან აღიარებული თეატრალური ოსტატობის მწვერვალებად და მოწმობენ ქართული საბჭოთა თეატრის მაღალ კულტურას.

რევოლუციამდელ საქართველოში არსებული ორიოდე თეატრის ნაცვლად, რომლებიც სეზონიდან სეზონამდე მუშაობდნენ, ამჟამად ჩვენ გვაქვს 40-ზე მეტი სტაციონალური თეატრი, რომლებიც ყოველდღე ათიათასობით მაყურებლებს უწევენ მომსახურებას. ამას გარდა, საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს ექვსი მოძრავი თეატრი, რომლებიც მართავენ წარმოდგენებს რესპუბლიკის ყველაზე შორეულ ადგილებში. ძველი თეატრის თეატრალურ მუშაკთა საერთო რიცხვი არ აღემატებოდა 150 კაცს, საბჭოთა თეატრს კი ჰყავს კადრები 2 ათ. კაცამდე რომელთა შორის არიან მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი მაღალკვალიფიციური მუშაკები.

მძლავრ აყვავებას განიცდის საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნებაც. მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა რიცხვის ინტენსიურ ზრდასთან ერთად, განუხრელად მატულობს მათი ოსტატობა და მასთან ერთად საქართველოს სახვითი ხელოვნების საერთო დონეც. საქართველოს მხატვრების მიერ შექმნილ მრავალ ტილოზე აღბეჭდილია სოციალიზმისათვის მუშათა კლასის გმირული ბრძოლის ცალკეული ეტაპები, რევოლუციური წარსულის ამაღელვებელი ფურცლები, საბჭოთა ყოფაცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ძვრანი.

მუსიკალური ხელოვნების დარგში საბჭოთა საქართველომ აღზარდა საუცხოო შემოქმედი მუშაკები — კომპოზიტორები, დირიჟორები, შემსრულებელი არტისტები, შექმნა მთელი რიგი ორკესტრები, გუნდები, ანსამბლები და გაამდიდრა მუსიკალური კულტურა მაღალხარისხოვანი წარმოებებით და შემსრულებლებით.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავისათვის საქართველოს მუსიკალური ხელოვნება გამდიდრდა მთელი რიგი ნაციონალური ოპერებით, სიმფონიებით, ნაწარმოებებით კვარტეტებისა და ცალკეული ინსტრუმენტებისათვის და სხვ. ამჟამად რესპუბლიკაში გვყავს 12 სახელმწიფო გუნდი, 3 სიმფონიური ორკესტრი, ათეული ინსტრუმენტალური კვარტეტი და ანსამბლი.

საქართველოს კინოწარმოება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს წარმოიშვა და განვითარდა. მას წარსულში არავითარი ბაზა არ გააჩნდა, არ მოეპოვებოდა არცერთი ფილმი, რომელსაც ნამდვილი მხატვრული ღირებულების სახე ჰქონოდა. განვლილი 15 წელი იყო წლები პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი შემოქმედებითი მუშაკთა შეუპოვარი ბრძოლისა მხატვრულად სრულფასოვანი, იდეურად გაჯერებული ფილმების შექმნისათვის, ამ ბრძოლის შედეგი იყო ფილმები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან „ელისო,“—შენგელაიასი, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“,—გელოვანის, „საბა“— ჭიაურელის. უკანასკნელ პერიოდში გამოშვებული ფილმები, როგორც მაგალითად, „უკანასკნელი მასკარადი“—იმავე რეჟისორის, „ნახვამდის“ — მაკაროვის და სხვ. საბჭოთა საუკეთესო სურათების რიცხვს ეკუთვნიან.

უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ მეფისა და მენშევიკების მძიმე მემკვიდრეობის —მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში. ამჟამად საბჭოთა საქართველოს მთელი მოსახლეობის 94 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეა.

830 სამკითხველო, 230 საკლუბო დაწესებულება და კულტურის სახლი, ასობით მასობრივი ბიბლიოთეკები და მოძრავი კინოები, რომლებიც 15 წლის განმავლობაში მოეწყო, ემსახურებიან მასების კულტურული დონის ამაღლების ამოცანებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან საგრძნობი წარმატებებია მიღწეული პრესისა და წიგნის გამომცემლობის მხრივ. წიგნის პროდუქციის დინამიკა იძლევა იმის სურათს, რომ წიგნების ბეჭდვა, მენშევიკური „დემოკრატიის“ პერიოდის მდგომარეობასთან, შედარებით, უდიდესად გაიზარდა. თუ საქართველოში მენშევიკური დიქტატურის ოთხივე წლის განმავლობაში (1917—1920) გამოიცა 596 სახელწოდების წიგნი, საბჭოთა საქართველოში მარტო 1935 წელს გამოცემულია 1147 სახელწოდების წიგნი 5.825 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

ჩვენი წარმატებანი და გამარჯვებანი კულტურული რევოლუციის ფრონტზე უშუალოდ გამომდინარეობენ იმ უდიდესი მიღწევებიდან, რომლებიც უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირის პროლეტართა შეუპოვარი გმირული ბრძოლით კომუნისტური პარტიის და მისი გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ემყარება რა მთელი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობის უდიდეს აღმავლობას, ორდენოსანი საბჭოთა საქართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური ორგანიზაცია დიდი სტალინის საიმედო მოწაფის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით, მტკიცე ნაბიჯით და ფეხდაფეხ მიჰყვება მთელს საბჭოთა ქვეყანას, რომელიც გამუდმებით იპყრობს განათლებისა და კულტურის ახალ მწვერვალებს.

აყვავებული საბჭოთა აჭარა

ფოტო მალოფეევისა.

ორთაბათომის კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველი-ქალი ფლაი სანიძე, რომელიც მუშაობს ჩაის ბუჩქის გაფორმებაზე. წელს გამომუშავებულ შრომადღეებში მიიღო 6 ათასი მანეთი.

მესხვერია

საბერძნეთის კუნძულებიდან მარმარილოს ზღვაში შეჭრილი ინგლისის სამხედრო ესკადრა გაანადგურებელ ქვემეხების სეტყვას აყრიდა გალიპოლის ნახევარკუნძულს...

დარდანელის სრუტეში აგერ-აგერ მოსჩანდა ჯოჯოხეთური ნაღმებით აფეთქებული და ჩაძირული დრედნოუტების ანძები...

სმირნის ყურიდან ენვერ-ფაშას ლაშქარი და სანაპირო არტილერია სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ვეშაპს, რომელიც ცეცხლით და მახვილით იკვლევდა გზას „აზიის საიდუმლოებათა გასაღების"—დარდანელის ხელში ჩასაგდებად.

აი ამ ტყვიის წვიმიან ავდარში, 1916 წელს დაავლო 7 წლის ალი იუსუფ-შა ოსმალეთის ქალაქ ელფის საზღვარი.

ფეხით შემოიარა პატარა ალიმ მთელი საოსმალეთი, სტამბოლიდან გამოჰყვა მაგი ზღვის ტალღებს, გაიარა ზონგულდაკის ნაპირები, სამსუნი, ტრაპიზონი, ვანის ვილაიეტი, ბოდგა.

ალი მოხერხებულად გადაუხლტა ზღვიდან რუსეთის მეფის სანაპირო რაზმელებს და... მიდის სულ წინ და წინ... მიდის იქითკენ, საიდანაც ამოდის მზე, რადგანაც სჯეროდა, რომ ბედი მზის ამოსავლეთით ელოდება მას.

და აი აქ, ცარიზმისდროინდელ „სამუსლიმანო საქართველოში" პატარა ალი-იუსუფი ისევ მონურ პირობებში მოჯამაგირედ უვარდება ხულოელ ბობოლას — თუფან ოსმან-ოღლის.

დასდევს ალი თუფან-ოღლის ძროხებს მშიერი და ტიტველი. ტიტველი, რადგანაც ბაზრის გამონაცვალი ქურქი და ქალამანი ალის ხორცსაც არ უფარავს. მშიერი, რადგანაც ბატონი „წყალობას" არ იღებს, პურს არ იძლევა. ჯამაგირი კი, რომელიც თუფან-ოღლიმ წელიწადში 8 მანეთით განსაზღვრა, შარშანდელი თოვლივით ელევა ხელში შიმშილით და სიცივით დამტანჯველ ალის.

როდესაც ალიმ თავის ალას პირველი ულტიმატუმი წარუდგინა ხელფასის მომატების შესახებ, მაშინ აჭარაში აღარც მეფის „ურიადნიკის" ჰაჰანება იყო და აღარც მენშევიკური მთავრობის „ძალით მაცხოვრე" კომისრებისა.

ალიმ განუცხადა თუფან-ოღლის:

— ალაჰმან, რვა მანეთად ვერ ვიმსახურებ. ჯამაგირი უნდა მომიმატო.

თუფან-ოღლის პასუხი არ დაუყოვნებია: ალის ჩიბუხის ტარი გადაამტვრია კეფაზე, ერთი წლის ნამსახურის გასამრჯელოც წაართვა და გარიზხული გააგდო ქუჩაში.

სტამბოლიდან გამოქცეულმა ალიმ ხულოშიაც მოშალა ნაფუზარი და ბათომს მიაშურა. აქ მან უფრო ძალუმად იგრძნო ახალი ცხოვრების მაჯისცემა...

და აი, აქ, ბათომში, უფრო სწორად—ორთაბათომში, დაიბადა იგი ხელმეორედ. აქ ორთაბათომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰპოვა მან თავისი ბედის ვარსკვლავი, რომელსაც მისტიროდა ანატოლიის ნაპირებიდან...

ალი მიქელაძე.
(სტალინის სახ. კოლმეურნეობა)
ფოტო მალოფეევისა.

○

ახლა ალი ძუძუ აღარ არის. იგი ალი მიქელაძეა, თავისუფალი აჭარელი საკოლმეურნეო მინდვრის ამაყი მშრომელი.

ალა თუფან-ოღლის მიერ გარიზხულ და გამოგდებულ ალის ხულოდან დაკონკილ ფარაჯის, გაცვეთილი ქალამნის და ერთი მანეთი ფულის (რომელიც ხულოელ კალაკ ძალას მეცადინისაგან ისესხა) მეტი არაფერი ჩამოყოლია.

ახლა ალიმ ოდა წამოჭიმა, ძროხა შეიძინა, ოჯახი კულტურული მორთულობით გაავსო.

ალიმ არათუ თვითონ იცის წერა-კითხვა, არამედ სხვებსაც ასწავლის.

ალი მესამე წელიწადია დაქორწინდა. ვაჟიც შეეძინა... მართალია ბავშვი ჯერ წლინახევრისაც ძლივს იქნება, მაგრამ ალის უკვე არჩეული აქვს მისი კარიერა და ამბობს:

— ჩემი ბალღი აგრონომი უნდა გამოვიდეს.

წელს ალიმ თავის ცოლს ხათუნს აბრეშუმის კაბა და შარფი უყიდა, მეორე წყვილი ტუფლი შეუკერა, რკინის საწოლი—ათიოდ 900 მანეთიანი—შეიძინა.

კოლმეურნე ალი მიქელაძეს ახლა საშუალება აქვს ადამიანურად იცხოვროს. წელს კოლმეურნეობიდან შრომადღეზე 14 მანეთი ფული მიიღო. მოსავლის საბოლოო განაწილების უწყისებიდან, რომელზედაც ალი მიქელაძეს ხელი უწერია, ვგებულობთ, რომ მას წელს კოლმეურნეობიდან მიუღია 4.000 მანეთი ფულად, გარდა ამისა, სიმინდი, პური და სხვა შემოსავალი. ალი მიქელაძეს საკარმიდამო ნაკვეთზედაც აქვს ციტრუსოვანი ხეხილი, აქედანაც 2.000 მანეთი შემოსავალი მიიღო.

ალის სიმწრის ოფლი შეაშრა. მუხის ქერქივით დანაოჭებული შუბლის კანი გასწორდა, პირისახე გაევსო, დაუმრგვალდა, ჩასუქდა, ჩამკვრივდა!

ალის ცოლი ხათუნიც სავსე მთვარესავით გაბადრულა. მას ძველი აჭარული, ყურანული ადათის ნასახიც არა სცხია.

○

ახლახან ბათომის ბაზრობაზე ალი მიქელაძე თავის ყოფილ „ალას" თუფან-ოსმან ოღლი შეხვდა.

ალიმ ძლივს იცნო თუფანი.

ხულოელი ალა ნაპანძრევი თაგვივით გალეული იყო. თუფანს სქელ ზოდებად აღარ ეღავა კისრის სიმსუქნე. ძველი ჩაქურის ფარღალალა სიყელში საცოდავად მოსჩანდა თუფანის წაწვეტებამდე წაწვრილებული კისერი.

— ყარდაშ ალის გაუმარჯოს,—მიესალმა ნაძალადევი ღიმილით თუფანი.

— გაგიმარჯოს თუფან, რა მოგივიდა? კოცო, გამხდარხარ?—ჰკითხა ალიმ.

— ეჰეე, დავბერდი, დავბერდი და მოუცილებლობით გავღარიბდით—ღრმა ამოოხვრით უპასუხა თუფანმა თავის ნაჯამაგირალს.

— არა გიშავს რა, გაუძლებო—მიუგო ალიმ, რომელმაც მშვენივრად შეატყო, რომ ხულოელი ბობოლას „დავერდნა" სრულიადაც არ იყო გამოწვეული მარტო მოხუცებულობით.

— ალი, გავიგე, კოლექტივში ყოფილხარ, ფული გქონება, ათ მანეთი მასესხე, ძალიან მიჭირს. ალაჰს ვფიცავ, არ დაგიგვიანო.

— ალა თუფან, ალა.—გახსოვს 8 მანეთი წაართვი და კიდეც მცემე?.. ისე ალაჰი მოგცემს, ილოცე—უთხრა კოლმეურნე ნაჯამაგირალმა შეცბუნებულ ბობოლას და ბრაზისაგან აკანკალებულ, გახუნებულ ნაალას—და ნიშნის მოგებით შეაქცია ზურგი.

ფოტო არზუმანოვისა.

ციტრუსების მყნობის მსოფლიო რეკორდსმენი ამხ. **არონ კიტია.**

ინდუსტრიის კერაში

ძველი ბათომი, თავის ნახევრადკუსტარულ პრიმიტიული ქარხნებით ისტორიის ჩაბარდა. ახლა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიის სიამაყის—ნავთის გადამამუშავებელი კრეკინგების გვერდით, ბათომში ათეულია სოციალისტური მრეწველობის ბუმბერაზი კერები. იქ, სადაც „მენშევიკების ბატონობისას მხოლოდ ნავთის „ჩიდორებისა" და ხის ყუთების „წარმოება" იყო, ახლა აღმართული თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის ვეება კორპუსები. უკვე მუშაობს თუთიის, ტყვიის, სპირტის სარექტიფიკაციო და სამკერვალო ქარხნები. ექსპლოატაციაშია ჩაის ფაბრიკები და წარმოების მოწყობილობათა დიდი ქარხანა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ემსახურება ჩაის პროდუქციის მზარდ მრეწველობას.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აჭარის ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 4-ჯერ, კაპიტალური დაბანდება 4 ნახევარჯერ. მრეწველობაში ჩაბმული მუშების 25 პროცენტი სტახანოველია. იზრდება კაპიტალური დაბანდებანიც. ბათომში შენდება კერამიკული მილების, ლუდის, ყინულის და სხვა მთელი რიგი ახალი ქარხნები. აჭარის ადგილობრივი მრეწველობა გიგანტური ტემპებით აფართოვებს მშრომელთა ფართო მოხმარების პროდუქტების გამოშვებას.

კურორტები, წყაროები

მთისა და ზღვისპირის თბილი ჰავა, ბუნებრივი, მარად მწვანე ტყეები და ალპური სურნელოვანი ლანდშაფტი ჰქმნის საუკეთესო პირობებს სუბტროპიკულ აჭარაში საკურორტო მშენებლობის გიგანტურად გაშლისათვის. ეს შესაძლებლობანი საბჭოთა აჭარის მთავრობამ საუკეთესოდ გამოიყენა. აქ უკვე მთელი წელიწადი მოქმედებს სახელ-განთქმული კურორტი — ქობულეთი. მახინჯაურში, მწვანე - კონცხზე, ციხის-ძირში და კიდევ სხვა კურორტებში მრავლდება სანატორიუმების, დისპანსერებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი.

აჭარის რესპუბლიკის კურორტთა მშენებლობაზე პირველ ხუთწლედში 1.343.000 მანეთი დაიხარჯა. მეორე ხუთწლედის 3 წლის განმავლობაში კი უკვე დახარჯულია 2.604.000 მანეთი. დიდი კაპიტალური დაბანდებანი ჰქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ გაფართოვდეს არსებული კურორტები და ათვისებულ იქნას ისეთი ახალი საკურორტო ობიექტები, როგორიცაა სარიჩაირი, ტყე-მრგვალა და უტირალა. აჭარის ტყიანი მთაგორაკებიდან საკმაო რაოდენობით გამოდის ძვირფასი მინერალური წყლები. დღემდე აღმოჩენილი და შემოწმებულია 24-ზე მეტი მინერალური საქკურნალო წყარო, რომელიც ელოდება კულტურულად ათვისებას. სუბტროპიკული აჭარა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის სამჭედლო ხდება.

○

ხელვათ ჩოლუკიძე.
აჭარელი მასწავლებელი ქალი.

სუბტროპიკების სამშობლო

ახლანდელ სუბტროპიკულ აჭარაში მენშევიკების ბატონობისას სულ 898 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია იყო. აქედან აჭარელ მშრომელ გლეხებს მხოლოდ 50 ჰექტარი ეკუთვნოდათ. დანარჩენი მეფის გენერლების, ბეგებისა და საუფლისწულო მამულების კუთვნილება იყო.

ახლა აჭარაში ჩაის 4808 ჰექტარი უჭირავს. მარტო გასული 3 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ 8 მილიონი კრედიტი მისცა კოლმეურნეობებს ჩაის კულტურის ათვისებლად. 1935 წელს კოლმეურნე - გლეხებმა ჩაიზე მიიღეს 16 მილიონი მანეთი. 1921 წელს ჰექტარი პლანტაცია 418 კილო ნედლ ჩაის იძლეოდა. ახლა იძლევა 2000 კილოს. მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ წელს სულ 382 ტონა ჩაი მოიკრიფა, 1935 წელს კი 3858 ტონა...

ციტრუსები იყო 1921 წელს 397 ჰექტარი — ახლა არის 1925 ჰექტ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წლიურად იკრიფებოდა 3 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, 1935 წელს კი 152 მილიონი ცალი მოიკრიფა. მარტო შარშან კოლმეურნეებმა ციტრუსების განსაზოგადოებული პლანტაციებიდან 15 მილიონი მანეთი მიიღეს.

მენშევიკების დროს ტუნგი იყო 0,5 ჰექტარი, ახლა არის 977 ჰექტ. თამბაქო იყო 38 ჰექტარი, ახლა არის 480 ჰექტარი და სხვ. ასე შეიცვალა საბჭოთა აჭარის სოფლის მეურნეობის სახე.

საბჭოთა ვარსკვლავზე დაბადებული

ყურანის დაღი არ აჩნევია მის ცქრიალა სახეს.

იგი ფეხთმორთხმული არ მჯდარა მედრესეს იატაკზე. მრისხანე ხოჯის წკეპლებს არ დაულურჯებია მისი სხეული. „ულუმი-დინით" არ გამოლაყებულა მისი ნორჩი გონება.

მის ყოველ მოძრაობაში ნაკადულივით სჩქეფს ახალი სიცოცხლე, ახალგაზრდული თავანკარობა, ახალგაზრდული ჯანღონე და ენერგია. მის გიშრისფერ თვალებში გაბუზმული სიხარულის ცეცხლი ელვარებს.

და ეს მშვენიერი, ცისკრის ვარსკვლავივით გასხივოსნებული სახე ჩადრის უნდა ჩამოებნელებინა სამუდამოთ, რომ ბინაზი საბჭოთა მთვარეზე არ დაბადებულიყო!

მაგრამ ბინაზიმ უღალატა ისლამს, უღალატა მუსხაფს, უღალატა მაჰმადს და დაიბადა აჭარაში სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დაბადებასთან ერთად,—1921 წელს.

მოკვდა ხოჯურ-ბეგური, მენშევიკური აჭარა. მოკვდა ცრუმორწმუნეობის ობობა და საბჭოთა აჭარასთან ერთად ქედის რაიონში სოფელ ორცვაში ფუხარა გლეხის მურად დიასამიძის ოჯახში იშვა პატარა გოგონა ბინაზი.

საბჭოთა მზემ ცხოველმყოფელი სხივები შეანათა ფუხარა აჭარელთა ღარიბ ქოხ-მახებში.

ამ სხივით გათბა და განათდა მურად დიასამიძის ოჯახიც. ამ სხივით გათბა ახალ დაბადებული, ცაცხვის ქერქისაგან გაკეთებულ „ხორჩში" ჩაკრული პატარა ბინაზიც...

ბინაზი დიასამიძე.

მურადი საბჭოთა კაცია. იგი განუდგა ხოჯას. აღარ უხდის „ზექათსა" და „ფითრეს" (ხოჯის შესაწირ გადასახადს), განუდგა ბეგებს, განუდგა მემამულეებს. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის მუშაობს.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატივა მურადმა იკისრა სოფელ ორცვაში. და ამ კოლმეურნეობას იგი ახლაც ხელმძღვანელობს...

...ბინაზი წამოიზარდა. იგი რვა წლის გახდა. ეს ის ასაკია, როცა მორწმუნე აჭარელი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის ქალიშვილი ჯამეში გაგზავნოს ხოჯასთან „ულუმიდინის" (სარწმუნოების სასწავლად). რვა წლიდან 13 წლამდე გოგონამ უნდა იზეპიროს ყურანიდან არაბული სიტყვები, რომელთა შინაარსი არც ხოჯას ესმის და, ცხადია, არც მას. 13 წლის რომ გახდება გოგონა, ჩადრით დაბურავენ, და გათავდა. დაიხშო მისთვის ყოველივე მხიარულება, დაიხურა საზოგადოებაში გამოსასვლელი კარი. იგი მამაკაცს სახეს ვეღარ უჩვენებს.

მურადი კი ბინაზს ჯამეში როდი გზავნის! ბინაზი ორცვაში პირველ დაწყებითს სკოლაში იწყებს სიარულს. ამთავრებს მას ფრიადზე. იქიდან შედის ქედის ათწლედში.

და დღეს ბინაზი მეექვსე კლასის ფრიადოსანი მოწაფეა, აქტიური კომკავშირელი.

ბინაზი ფრიადებზე სწავლობს. მას გადაწყვეტილი აქვს ექიმი გახდეს. ვუსურვოთ მიზნის მიღწევა!

ექვსი ობოლი

— ვუთხრათ? არ ვუთხრათ?

— უნდა ვუთხრათ, „შევამზადოთ", სანამდე ვმალოთ!

მოილაპარაკებდნენ მეზობლები, სამგლოვიარო ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ და ცალი ფეხის უკან თრევით ჩალაგდებოდნენ ეზოში.

დედის გული მაშინვე იგრძნობდა თავსდატეხილ უბედურებას... თმის გლეჯით, ლოყების ხოკვით გამოვარდებოდა დედა ეზოში. მის კივილს ახლო ჭირისუფლების ზლუქუნი უერთდებოდა. დიდი და პატარა ერთმანეთში ირეოდა და მწარედ მოსთქვამდა. მთელ სოფელს ესმოდა წივილ-კივილი.

— ომში დაიღუპებოდა ვინმე.—იტყოდნენ შორეული.

ყველას ისე ჰქონდა შეჩვეული ყური მოთქმა-გოდებისათვის, რომ დაწვრილებით ამბის გაგებას აღარ უდგებოდნენ.

თითქმის ყოველ მათგანს თავისი სატირალი ჰყავდა და როცა სხვისას კივილს გაიგონებდა, თვითონაც იწყებდა მოთქმას, თავისი დაღუპულის დატირებას.

თითქმის ყველა სახლის სვეტებზე შავი იყო გაკრული. ვინ ქმარს გლოვობდა, ვინ შვილს, ვინ მამას!

იღუპებოდნენ ჭაბუკები, ჯანღონით სავსე ქართველი „დალიყანდები" და მერე სად? ძმებთან ბრძოლაში, ძმათა ომში. სომხეთის ფრონტზე, თურქებთან შეტაკებაში. ჰე! სომხებთან თურქებთან, ამ ჩვენს ძმებთან, ჩვენს ღვიძლ მეგობრებთან საბრძოლველად მათ ერეკებოდნენ კაციჭამიები — მენშევიკები.

არ წავიდოდნენ? მაშინ ზურგიდან მიაყრიდნენ ტყვიებს გ. ჯუღელის, ვ. გოგუაძის, რეაქციის შავი გენერლების: კვინიტაძის, ოდიშელიძის და სხვათა ქოფაკები. ორივე შემთხვევაში სიკვდილი ხელში ეჭირათ...

— შვილო, დედა შვილო, დედააა!

— ისმოდა დედების მოთქმა ყოველ კუთხიდან მენშევიკების „დემოკრატიულ სამოთხეში".

○

კვნესას და გლოვას მოჰყვა რისხვა, სასოწარკვეთილ, დაშინებულ და მშიერ-ტიტველ მშრომელთა რისხვა აზვირთდა ტალღად თებერვლის დღეებში და წითელ ოქტომბრის დროშის ქვეშ დარაზმული მუშების და მშრომელი გლეხების ერთი დარტყმა საკმარისი გახდა, რომ დამხობილიყო მენშევიკების მიერ სამი წლის განმავლობაში ნაკოწიწები ხუხულა.

მშრომელთა რისხვა და წყევლა მიაცილებდა თებერვლის თვეებში ტფილისიდან დაძრულ სალონ-ვაგონებს, რომელშიაც მოთავსებული იყვნენ მენშევიკი — მინისტრები. მინისტრები, რომელთაც ხალხის ბედზე კი არ „ჰქონდათ ბჭობა, არამედ იმაზე — ხომ არაფერი სამკაული და ძვირფასი ნივთი დარჩათ გაუტაცებელი ქართველი ხალხისაგან...

მიაქროლებდნენ მატარებელს, აფეთქებდნენ ხიდებს — აოხრებდნენ ყველაფერს. ჯავშნოსნები ცეცხლს აფრქვევდნენ და ჟლეტდნენ მშრომელთ. სისხლის ღვრით, ცეცხლითა და მახვილით იკაფავდნენ ესინი უკანდასახევ გზას და ასე მიადგნენ შავი ზღვის ნაპირებს...

○

მარტის დღეების კოშმარი ბათომის მუშებსა და მშრომელთ არასოდეს დაავიწყდებათ. მენშევიკების მიერ გაბრიყვებული და მოტყუებული ხალხი დაეძებს თავის „მთავრობას", რომელიც უკვე მოკალათებულიყო საფრანგეთის გემზე თავის ნაძარცვით. უპატრონოდ დაყრილი დაცლილ „ბუშლატებში" გახვეული, ფეხშიშველი ჯარისკაცები დამშეული ცივი ჭადის ნატეხს ერთმანეთს ხელში აგლეჯენ, ქაოსი ღელავს და ბობოქრობს; გვარდიელები ისევ „ნადირობენ" აჯანყებულ მშრომელებზე, მათ კიდევ სჯერათ, რომ საცაა უცხოეთის კრეისერები მოეშველებიან მათ და დათრგუნავენ აჯანყებას.

მარტის სუსხიანი ღამეა. მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, ლენინისა და სტალინის მიერ ბრძოლაში გამოწრთობილი ბოლშევიკები ჯერ კიდევ ბათომის ციხეში ჰყავთ დამწყვდეული რევოლუციის ჯალათებს.

გვარდიელები ისევ დათარეშობენ ქალაქში და სადაც წითელ რაზმელებს მოჰკრავენ თვალს, სროლას უტეხენ. წითელრაზმელებს შეუერთდა ფუხარა **ალი ახათიანი,** რომელმაც ვეღარ იტანა უიარაღო ხალხის ასე მხეცურად ჟლეტა მენშევიკური ბანდების მიერ. და ისიც ამ წითელრაზმელებთან ერთად ჩასაფრდა ფერდობში სალიბაურის ბატარეის მახლობლად.

გაიზუზუნა ტყვიამ და უსულოდ დაეცა ალი. ჰოი, შვილებო! — აღმოხდა მას უკანასკნელად და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

ალის დარჩა უპატრონოდ ექვსი ობოლი. იმათი სიბრალული ჩაჰყვა მას მენშევიკების ტყვიით გახვრეტილ გულში.

ექვსი ობოლი! უდედმამოდ, ულუკმაპუროდ! ექვსივე მცირეწლოვანი. ერთი-მეორეს რომ ვერ წამოაყენებს. ოთხი ძმა და ორი და. ვაჟებში ყველაზე უფროსია 9 წლის დურსუნი, უმცროსები: 7 წლის ხასანი, 5 წლის ოსმანი, ერთი თვის არიფი. პატარა გოგონები ზექია და კადრია.

რა ეშველებათ? ვინ არის მათი პატრონი?

○

მაგრამ მოვიდა პატრონი! ბათომში გამოჩნდა სახელოვანი წითელი არმია, გამოჩნდა რევოლუციის ქვემეხი ამხ. ჟლობა. ბათომის ციხიდან, სადაც 1902 წელს თვითმპყრობელობის სატრაპებს დამწყვდეული ჰყავდათ ახალგაზრდა სტალინი, რევოლუციის ოქროპირი, ბათომის მუშების პირველი დამრაზმველი და ამხედრებელი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ამ ციხიდან განთავისუფლდნენ მძლავრად აყვანილი ბოლშევიკები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ხელისუფლებას.

მენშევიკების ნაყარნუყარი აღიგავა პირისაგან მიწისა. საფრანგეთის გემმა გასცურა სტამბოლისაკენ და თან წაიღო კონტრრევოლუციური ბალასტი.

მშრომელთა ცაზე ამობრწყინდა დიდი ოქტომბრის მზე. მგლოვიარეების არშიები მოშორდა სახლების სვეტებს. მშრომელთა კერასთან ოხვრა და კვნესა შესცვალა მხიარულებამ, სჯა-ბაასმა ახალი ცხოვრების მოწყობისათვის ბრძოლაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს არ შეიძლება ობლები იყვნენ!

ალის ექვსი ობოლი განა ობლობას გრძნობს? ყველას საუკეთესოდ აცვიათ, საუკეთესო კვება აქვთ. სწავლობენ, ავარჯიშებენ. საწყალი ალიც რომ გაცოცხლდეს და ნახოს თავისი შვილები, იტყვის — ობლები არ ყოფილანო!

და აი დღეს ერთერთ ამ ობოლთაგანთან ვართ სტუმრად. ის გახლავთ **დურსუნ ახათიანი. დურსუნ ახათიანი** დღეს ბათომის ნავთისგადამამუშავებელ ქარხანაში მუშაობს ინჟინრად. იგი საქვაბე დანადგართა გამგეა. კომკავშირელი ინჟინერი — სტახანოველი.

მას მენშევიკების სახელს ვერ გაუგონებთ.

იგი გვიყვება დაწვრილებით მენშევიკების მიერ დაობლებული ექვსივე პატარის თავგადასავალს. როგორ უპატრონა, როგორ გაზარდა ისინი საბჭოთა ხელისუფლებამ, რა საუცხოოდ აცმევდნენ და ჰკვებდნენ მათ აჭარის ბავშვთა სახლში. როგორ გზავნიდნენ ყოველწლობით აგარაკებზე: მახინჯაურსა და ქობულეთში.

დები უკვე დაოჯახდნენ. დურსუნის ძმამ ხასანმა პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. პედაგოგობდა 2 წელიწადს. ახლა კიდევ უმაღლეს ცოდნას ღებულობს. ოსმანი შოფერია, პატარა არიფიც სწავლობს.

დურსუნს კი ნავთისგადამამუშავებელი ქარხნის ამ ურთულესი დანადგარების ტექნიკა ისე აუთვისებია, რომ დღეს მის ხელქვეით 64 კაცი მუშაობს. ტურბო-გენერატორები გუგუნებენ. ნიკლოსის ქვაბები, ფილტრების, ლანკაშირის სისტემის ქვაბები ქარხანას ორთქლს აწვდიან დურსუნის ხელმძღვანელობით. საკმარისია ოდნავი გაუფრთხილებლობა, ოდნავი შეცდომა ორთქლის რეგულირების დროს, რომ მთელი უზარმაზარი აგრეგატი აფეთქდეს.

დურსუნი კი დახელოვნებული სპეციალისტია. იგი სახელოვანი სტახანოველია. აქამდე ორ საქვაბე დანადგარზე მუშაობდა, ახლა მესამე დანადგარიც შემოიერთა და სამივეს უძღვება.

500-600 მანეთს ღებულობს თვიურად დურსუნი. ორი კვირაა, რაც ცოლი შეირთო. მისი კოხტად მოწყობილი ბინა შავს ზღვას გადაჰყურებს მუშათა საერთო საცხოვრებლიდან.

— რა იქნებოდი შენ, საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო? ან, უკეთ რომ ვთქვათ, სად იქნებოდი?

— ვიქნებოდი სადმე მწყემსად, მოჯამაგირედ, — ღიმილით გვიპასუხებს დურსუნი.

— ობლობაზე ხომ არ სჩივით?

— განა შეიძლება ობლობა იგრძნო საბჭოთა ქვეყანაში? — კითხვითვე გვიპასუხებს დურსუნი.

ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა.

კულტურული აჭარა

აი მენშევიკური „ოაზისის" დროინდელი აჭარის „კულტურული ცხოვრების" სახე: სულ იყო 38 სკოლა 2.684 მოწაფით. აქედან აჭარელი იყო მხოლოდ 627. აჭარელი მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ახლა აჭარაში 343 სკოლაა 27.521 მოწაფით. აქედან 12 ტექნიკუმი და 5 სრული საშუალო სკოლა. მეფისა და მენშევიკების დროს აჭარელ მოწაფეს სწავლის ფულის სახით წელიწადში ახდევინებდნენ 70—90 მანეთს, ახლა კი საბჭოთა ხელისუფლება ტექნიკუმებისა და საშუალო სასწავლებლის თვითეულ მოწაფეზე წლიურად ხარჯავს 700 მანეთზე მეტს, ხოლო გადასახადი არავითარი არ არის.

მენშევიკების მთავრობა სახალხო განათლებაზე მთელი აჭარის მაშინდელი ბიუჯეტის მხოლოდ 9 პროცენტს ხარჯავდა, ახლა კი საბჭოთა ხელისუფლება ხარჯავს აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტის 38,8 პროცენტს. 4 უკანასკნელი წლის განმავლობაში ტექნიკუმებმა და სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 1773 აჭარელი სპეციალისტი. ახლა რესპუბლიკაში მუშაობს 48 აჭარელი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით.

აჭარაში არის 12 კლუბი, 40 სამკითხველო, 44 რადიო-დანადგარი, 20 წითელი კუთხე, თეატრები, ბიბლიოთეკები და მრავალი თვითმოქმედი წრე. აქ აჭარელს, ლაზს, ქურთს, სომეხს, ბერძენს—ყველას აქვს თავისი სკოლა, ხელოვნება, მუსიკა. აჭარა სოციალისტური, ინტერნაციონალური აღზრდისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ნიმუშს გვიჩვენებს.

სტალინური თაობა

სულ სხვა არის ჩვენი ტრფობა,
[illegible] გრძნობის ნადური,
ჩვენ გვიტაცებს ქამანჩის
სიმღერა ვაჟკაცური.

ჩვენც გავზარდეთ შევარდენი
გულის გასახარელი,
ფადიმეა გოგიტიძე,
პილოტი აჭარელი.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის
სურნელოვან ნარინჯით,
წინ მივდივართ სახელოვან
სტახანოვის ნაბიჯით.

რეკორდსმენი გოგონა გვყავს,
ძველს რომ კოცონს უკიდებს.
ჩვენ ვზრდით ჩვენს დემჩენკოებს,
მარიკა ფუნდუკიძეს.

ჩვენ გვახარებს გაზაფხულზე
ხმა ვერცხლოვან ზვირთების,
ჩვენი დურსუნ ნაკაშიძე,
დოსტაქარი კვირტების.

ციტრუსოვან ბაღნართ ბედი
მყნობელებზე ჰკიდია,
აქ ხომ დურსუნს გვერდში უდგას
ჩვენი არონ კიტია.

როგორც დილის სიხალისე,
შემართული დაირა,
ეს სიმღერაც უნდა ისე
სჭექდეს მრავალნაირად, —

ისე როგორც ელვა კაცის,
გრიგალური სიმთ ჟღერა,
ამ დიადი გარიჟრაჟის
მშენებელთა სიმღერაც.

მთებს ესმოდეს, ბაღს ხეს, ყვავილს
მზის სხივებით ნალებავს;
ჯუღაშვილის რწმენა ჰყვავის
გულში ბაირაღებად.

იფანტება ეს სიმღერა,
ვით ცაზე ვარსკვლავობა.
დარაზმულა მებრძოლებად
სტალინური თაობა.

შალვა იოსელიანი
აჭარის ინდუსტრიული მუშფაკის მოწაფე.

მშრომელთა ჯანმრთელობა

ერთი საავადმყოფო, ერთი ამბულატორია, 3 კერძო აფთიაქი და 3 საექიმო პუნქტი—აი სახალხო ჯანმრთელობის მთელი ავლადიდება მენშევიკების ბატონობის — დროინდელ აჭარაში.

საავადმყოფოების გამტარიანობა წლიურად მაშინ იყო 695, ახლა—12.729, პოლიკლინიკა სულ არ იყო, ახლა არის — 6. ამბულატორია იყო ერთი, არის 11. საექიმო პუნქტი იყო 3, არის 43. საფერშლო პუნქტი სულ არ იყო, ახლა არის 6. დისპანსერი და სხვა პუნქტები სულ არ იყო, ახლა არის 33. საბავშვო ბაგა სულ არ იყო, არის 22.

მთელს აჭარაში 1921 წელს 21 ექიმი იყო, ახლა არის 179. ჯანმრთელობის დაცვის დარგში ერთ სულზე მაშინ 2 მანეთი და 29 კაპ. იხარჯებოდა, ახლა იხარჯება 28 მანეთი. მენშევიკების ბატონობისას თითო ექიმი მოდიოდა 2675 მცხოვრებზე, ახლა ერთი ექიმი მოდის 821 მცხოვრებზე. ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე 1921 წლამდე წლიურად იხარჯებოდა სულ 160.000 მანეთი (1926 — 27 წლის უცვლელი ფულის კურსის მიხედვით) ახლა იხარჯება 4.631.000 მანეთი.

ფატიმე დუმბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნიის ყოფილი ციხე-სიმაგრე აჭარაში ამჟამად გადაქცეულია ფორთოხლის საბჭოთა მეურნეობად. სურათზე — მარჯვნივ, გუნიის ციხე-სიმაგრე აჭარაში, შუაში — ფორთოხლის პლანტაცია გუნიის ციხე - სიმაგრის მიდამოებში მარცხნივ — მეურნეობის აგრონომი ამხ. ციცაძე ათვალიერებს ფორთოხლის ნაყოფს. ფოტო არზუმანოვისა.

ორდენოსანი საქართველო ემზადება ზეიმისათვის

ტფილისი მხატვრულად მოირთვება

დედაქალაქის მხატვრულად მორთვა საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის — 25 თებერვლისათვის მინდობილი აქვთ საუკეთესო მხატვრებს, პლაკატისტებს, პიროტექნიკოსებს. მოედნებისა და ქუჩების მორთულობათა ესკიზებზე და დიდი მხატვრული პანოების კეთებაზე მუშაობენ მხატვრები — ნადარეიშვილი, ი. გამრეკელი, კროტკოვი, ვეფხვაძე და სხ. მხატვარმა ვეფხვაძემ დაამთავრა მუშაობა და წარმოადგინა მოხდენილად შესრულებული პანო — „სტალინი მოუწოდებს მშრომელებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ". სტალინური თემატიკიდან ამზადებენ საკუთარ პროდუქციას ნადარეიშვილი და კროტკოვი.

პიროტექნიკოს კოზაკოვს მინდობილი აქვს დაამზადოს რამდენიმე ათასი ცალი მარტივი და კომბინირებული მაშხალა. მასვე მინდობილი აქვს მოაწყოს სინათლის ეფექტების მომცემი სხვადასხვა ტექნიკური აპარატი, რომლებიც 25 თებერვალს საღამოს დაიდგმება ტფილისის დიდ მოედნებზე და ქალაქის ირგვლივ მაღლობ ადგილებზე.

გამოყოფილია მხატვართა სპეციალური ბრიგადა ფედერაციის მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის მხატვრულად გაფორმების ესკიზების დასამუშავებლად. ცალკე ამუშავებენ ესკიზს სადგურის მოედნის, ჩელუსკინელთა ქუჩისა და ჩელუსკინელების ხიდის მოსართავად. ჩელუსკინელების ხიდზე გათვალისწინებულია არქიტექტურულად გაფორმებული დიდთაღიანი ჭიშკრის მოწყობა.

საბავშვო სახლებში

განსახკომის საბავშვო სახლების სამართველომ რესპუბლიკის ყველა საბავშვო სახლს მისცა მითითება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმის ჩატარების შესახებ.

ყველა საბავშვო სახლში [illegible] ([illegible]), გააცნობენ საბჭოთა საქართველოს ეროვნულ მიღწევებს. დღესასწაულისათვის მიძღვნილ საღამოზე ბავშვებს, სწავლის დამკვრელებს, დააჯილდოვებენ სხვადასხვა საჩუქრით.

ზეიმისათვის მზადება

ერევანში

ერევანი, 20 თებერვალი. საბჭოთა სომხეთის დედაქალაქის მშრომელები საქართველოს მშრომელებთან ერთად ემზადებიან საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის სადღესასწაულოდ.

წლისთავის დღეს გამოდის რესპუბლიკური გაზეთის და ჟურნალ „ხორურდაინ გრაკანუთიუნის" საიუბილეო ნომრები, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისადმი.

სომხეთის მწერალთა კავშირი აწყობს ქართული პოეზიისა და პროზის საღამოს.

ამ დღეებში სომხეთის სახელგამის მიერ გამოცემული იქნება მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი", რომელიც სომხურ ენაზე სთარგმნა მიქაბიანმა, წიგნი ილუსტრირებული იქნება მხატვარ არუთჩიანის მიერ, იბეჭდება კონსტ. ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა". გევორგ ასატურმა დაამთავრა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხვის ტყაოსნის" თარგმანი სომხურ ენაზე. პოემა გამოვა ელიშე ჩარენცის რედაქციით.

ბათომში

ბათომში ფართოდ გაიშალა მზადება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმის ჩასატარებლად.

22 თებერვლიდან საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლად, კლუბებსა და სამკითხველოებში გაიმართება საზეიმო სხდომები, მოეწყობა კითხვა-პასუხისა და მხატვრული საღამოები.

24 თებერვალს ქალაქის თეატრში გაიმართება ბათომის ქალაქის საბჭოს გაფართოებული პლენუმი პარტიულ, პროფესიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ტფილისში იგზავნებიან სტახანოველები და წარმოების საუკეთესო დამკვრელები. (საკ. კორ.).

ბორჯომი

კისრულობენ საბრძოლო ვალდებულებებს

(ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ცხოვრებაშვილისგან).

17 თებერვლიდან ბორჯომის ყველა საწარმოსა და კოლმეურნეობაში უკვე იმართება საუბრები 15 წლისთავის შესახებ.

სოფელ კოსკალეთსა და ბესლეში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობები.

რაიონის ყველა ფაბრიკამ და ქარხანამ აიღო ვალდებულება თვიური გეგმა შეასრულოს 24 თებერვლისათვის.

დღეისათვის, 20 თებერვლისათვის, თებერვლის გეგმა მუშის ქარხანამ უკვე 109 პროცენტით შეასრულა, საკასრე ქარხანამ კი—130-ით. წყლების ჩამომსხმელი ქარხანა თვიურ გეგმას ასრულებს 23 თებერვლისათვის.

23 თებერვლისათვის რაიონის ყველა წარმოება და კოლმეურნეობა ასრულებს გეგმას.

23 თებერვალს ქარხნებსა და კოლმეურნეობებში საერთო კრებები იქნება. 24 თებერვალს გაიმართება ბორჯომის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხდება რაიონის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოვება.

რაიონის მუშები და კოლმეურნეები ირჩევენ 3 დელეგატს, რომელნიც გაიგზავნებიან ტფილისში 15 წლისთავის სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ტფილისში იგზავნება აგრეთვე 2 ცხენოსანი ამხ. კოჩიევა და მალთაძე, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ დოღში.

25 თებერვალს მოეწყობა ბაკურიანიდან და სხვა სოფლებიდან ბორჯომის ცენტრამდე თხილამურებით გადარბენა.

დღესასწაულზე გაიმართება ფიზკულტურელთა გამოსვლები.

გამოდის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც მიძღვნილი იქნება საქ. გასაბჭოების 15 წლისთავისადმი.

რაიონის კოლმეურნეობებში ჩატარებულ კრებებზე კისრულობენ ვალდებულებას უკეთ მოაწყონ საგაზაფხულო თესვა; ორმაგად გაზარდონ წველა სასაქონლო ფერმებში.

საგზაო მშენებლობის დარგში კოლმეურნეობებმა იკისრეს კულტურულად მოაწყონ გზები და შეჯიბრებაში გამოიწვიეს [illegible] რაიონი.

სატყეო მეურნეობის მუშებმა იკისრეს 8 თვის განმავლობაში შეასრულონ წლიური გეგმა.

ქალაქი და სოფელი საზეიმოდ ირთვება.

გაიმართა სადღესასწაულო ბაზრობა. [illegible] სავაჭროები ავტომანქანებზე, რომლებითაც პროდუქტები გაიგზავნება სოფლად.

რაიონს აქვს 10 გარდამავალი რესპუბლიკური დროშა. რაიონის მშრომელები საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით მტკიცე პირობას იძლევიან არამც თუ შეინარჩუნონ ეს დროშები, არამედ კიდევ გაადიდონ მათი რიცხვი.

გურჯაანი

თვალსაჩინო მიღწევებით

(ტელეფონით საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივნის ამხ. ი. კოპლამაზაშვილისგან).

გურჯაანის რაიონში ფართო მზადება გაიშალა საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის.

15 წლისთავს რაიონი ხვდება მთელი რიგი ახალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების გახსნით: მოხდება ალაზნისპირის საცდელი ამუშავება. სოფ. ურიათუბანში გაიხსნება შვიდწლედის ახალი შენობა, ყანდაურაში—ზეთის გადამამუშავებელი საკოლმეურნეო ქარხანა. საფუძველი ჩაეყრება სარაიონო ფიზკულტურის სტადიონისა და დასასვენებელი პარკის მშენებლობას. სტადიონი და პარკი ერთ ჰექტარ ფართობს დაიკავებს. სოფ. შაშიანში გაიხსნება უნივერსალური კოოპერატიული მაღაზია, რომელიც 3 ოთახისაგან შესდგება. მაღაზია კულტურულად იქნება მოწყობილი. ველისციხეში გაიხსნება წყალსადენი. სოფ. არაშენდაში—საკოლმეურნეო სამშობიარო ხუთი საწოლით. მიმდინარეობს მუშაობა ასეთივე სამშობიაროს გასახსნელად სოფ. კარდანახში. თვით გურჯაანში იხსნება ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კოლმეურნეობებში იხსნება წითელი კუთხეები. სოფ. ჩუმლაყში იხსნება 7 ოთახისაგან შემდგარი საუკეთესოდ მოწყობილი სასოფლო საბჭოს შენობა, სადაც სოფლსაბჭოს გარდა მოთავსებული იქნება 2 კოლმეურნეობის გამგეობა, ამბულატორია და სამკითხველო. მელაანში გაიხსნება სოფსაბჭოს კაპიტალური შენობა. კურორტ ახტალაზე მთავრდება პოლიკლინიკის მშენებლობა რენტგენის კაბინეტით. სოფ. გურჯაანში, ველისციხეში და კარდანახში შენდება ათწლედები. ვეჯინში მთავრდება რაიონული მნიშვნელობის ვეტპუნქტი. ვეტპუნქტის მშენებლობა მთავრდება აგრეთვე სოფ. ყანდაურაში.

▽ ▽ ▽

გორი ემზადება

გორის რაიონში საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის მზადება მიმდინარეობს მშრომელთა შემოქმედებითი ენთუზიაზმისა და აქტივობის ახალი ტალღის აზვირთების ნიშნით.

20 თებერვლიდან სოფსაბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში იმართება საერთო კრებები, სადაც მშრომელნი კისრულობენ ახალ-ახალ ვალდებულებებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. განსაკუთრებით დიდი აქტივობით ჩაიარა კრებებმა [illegible] კოლმეურნეობებში, — კოლმეურნენი ირაზმებიან შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლიანობისათვის საბრძოლველად. ამავე კრებებზე ხდება ცალკეულ დარგების საუკეთესო სტახანოველთა გამოვლენება, რომელთა დაჯილდოება მოხდება 24 თებერვალს დანიშნულ სარაიონო საზეიმო სხდომაზე.

25 თებერვალს ამუშავდება გორის ახალი წყალსადენი, რომლიდანაც წყალი პირველად ლენინის ქუჩაზე გადმოსჩქეფს.

ფოტო გუდუშაკისა.

ბაკურიანი — მეთხილამურენი მიდიან მთაში.

□

თხილამურით ბაკურიანიდან ლენინაკანში

21 თებერვალს ბაკურიანში დაიწყება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის სახელობის გასამხედროებული სათხილამურო ლაშქრობა მარშრუტით: ბაკურიანი-ლენინაკანი.

ასეთი ლაშქრობა ამიერ-კავკასიაში პირველად იმართება.

ლაშქრობაში მონაწილეობს 8 მეთხილამურე—ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი. ლაშქრობის კომანდორად დანიშნულია თხილამურის ჩემპიონი ამიერ-კავკასიაში ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. კოსმოჩევსკი. მანძილი 130 კილომეტრი ლაშქრობის მონაწილეებს გათვალისწინებული აქვთ გაიარონ 25 სასიარულო საათში.

ლენინაკანიდან მეთხილამურეები ტფილისში დაბრუნდებიან მატარებლით და 24 თებერვალს პატაკით გამოვლენ საქართველოს ცაკის საიუბილეო სესიაზე.

მრეწველობის მიღწევათა გამოფენა

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან გამოყოფილია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს საქართველოს მრეწველობის მიღწევათა გამოფენის მოწყობა.

გამოფენისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისათვის მზადების ხელმძღვანელმა კომისიამ გამოჰყო სახელმწიფო საოპერო თეატრის ერთერთი დარბაზი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის საწარმოები, რომლებიც ამუშავდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. ფაბრიკა-ქარხნები წარმოდგენილი იქნებიან ფოტოგრაფიული სურათებით, დიაგრამებით და პროდუქციის ნიმუშებით.

ვრცლად იქნებიან წარმოდგენილი საქართველოს მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა სამთამადნო მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა, ქვების მრეწველობა და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის ახალი კერები

ტფილისის ამხ. ს. ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის კიდევ უფრო აფართოვებს ჯანმრთელობის დაცვის ქსელს. 25 თებერვლისათვის რაიონში გაიხსნება ბავშვთა კონსულტაცია, მოზარდთა და ბავშვთა პოლიკლინიკა, რაიონული ფიზიო-თერაპიული კაბინეტი.

ამავე დღისათვის მოხდება მე-60 სრულ საშუალო სკოლასთან ჩამოყალიბებულ ბავშვთა დღის სანატორიუმის გახსნა. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან გაიხსნება ტფილისში პირველი—ქალთა პირადი ჰიგიენის კაბინეტი. საბურთალოს პოლიკლინიკასთან მოეწყობა ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან გაიხსნება ახალი ამბულატორია.

ამასთან, გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა რაიონულ მექანიზებულ სამრეცხაოს დასამთავრებლად.

საზეიმო დღისათვის ჯანმრთელობის განყოფილება ამზადებს დიდ პლაკატს, სადაც თვალსაჩინოდ იქნება ნაჩვენები რაიონის ჯანმრთელობის ქსელის უდიდესი ზრდა და მშრომელთა საქმეში მომსახურებაში მომხდარი დიდი გარდატეხა 15 წლის განმავლობაში.

□

სახელმწიფო ცირკი დემონსტრაციაზე

სახელმწიფო ცირკის მუშაკთა კოლექტივი შეუდგა მზადებას 25 თებერვლის დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად. ამ დღეს ცირკის არტისტები გამოვლენ დემონსტრაციებზე ცალკე ჯგუფად საკუთარ მიღწევათა ჩვენებით. საამისოდ მუშავდება ახალი რეპერტუარი.

სახელმწიფო ცირკის არტისტთა კოლექტივის გამოსვლაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დუროვის მონაწილეობა თავისი გაწვრთნილი ცხოველებით. დუროვი დემონსტრაციაზე გამოიყვანს თავის ცხოველებს, რომელთაც წინ გაუძღვება სპილო. სათანადო წინასწარ ვარჯიშს და ცხოველთა მომზადებას დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად ამხ. დუროვი უკვე შეუდგა.

მარჯანიშვილის თეატრში

„რაც გინახავს, ველარ ნახავ".

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის დასადგმელად ამზადებს ავქსენტი ცაგარელის პიესას „რაც გინახავს, ველარ ნახავ", მონტაჟი გ. ჟურულისა და გ. ბუხნიკაშვილისა. პიესის გადაკეთების მიზანი იყო ხაზი გასმოდა სოციალურ მომენტებს, უფრო გაეძლიერებინა გლეხობის როლი თავადაზნაურობასთან ბრძოლაში. პიესაში გამოყვანილი ყარაჩოღლები გვეჩვენებიან როგორც ხელოსანთა წარმომადგენლები.

პიესას სდგამს რეჟისორი გ. ჟურული, მხატვარი— ს. ვირსალაძე, მუსიკა ქ. მეღვინეთუხუცესისა.

მთავარ როლებს ასრულებენ: რესპ. სახ. არტ. [illegible], ვ. გოძიაშვილი, ტასო აბაშიძე, [illegible], შ. ჯაფარიძე, [illegible], [illegible] და სხვ.

25 თებერვლის ზეიმისათვის თეატრში იწყობა გამოფენა—„მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 1922 წლიდან დღემდე", სადაც ფოტოსურათებით იქნება წარმოდგენილი თეატრის განვლილი მუშაობა.

ამ დღისათვის გამოდის სპეციალური გაზეთი „მარჯანიშვილის თეატრი", რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისადმი.

პარალელურად თეატრი მუშაობს ორ პიესაზე—შ. კაკაბაძის „ბახტრიონი" და ს. [illegible] „ჩემი ქვეყანა". პირველს სდგამს რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი—ვ. სიდამონ-ერისთავი, მუსიკა ა. ბალანჩივაძისა. „ჩემი ქვეყნის" დადგმაზე მუშაობს რესპ. დამს. არტ. დ. ანთაძე, მხატვარი პროფ. დ. კაკაბაძე, მუსიკა — ქ. მეღვინეთუხუცესისა.

თეატრმა დაამთავრა წინასწარი მუშაობა ი. მჭედლიშვილის პიესის „[illegible]" დადგმისათვის. კახეთში გაგზავნილმა სპეციალურმა ექსპედიციამ შეაგროვა მასალა ხალხური თეატრის შესახებ; ჩამოტანილია ბერიკების ტანისამოსი, ნიღბები და სხვ.

პიესა დაიდგმება მიმდინარე წელს; რეჟისორი—დ. ანთაძე, მხატვარი—პროფ. ლ. გუდიაშვილი.

თეატრმა მიწვევა მიიღო, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ გასტროლები მოაწყოს მოსკოვში.

□

იხსნება სომხური კულტურის სახლი

22 თებერვალს, საღამოს 8½ საათზე მოხდება სომხური კულტურის სახლის (ძერჟინსკის ქ. № 6) საზეიმო გახსნა, რომელიც ემთხვევა საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს.

სომხური კულტურის სახლი დიდ მუშაობას გასწევს მშრომელთა ფართო კულტურულ მომსახურებისათვის, რისთვისაც მუშაობაში ჩაბმული იქნებიან საუკეთესო ძალები, მათ შორის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი.

ამჟამად სომხური კულტურის სახლთან უკვე მუშაობენ ლიტერატურული, მუსიკალური, დრამატული და სახვითი ხელოვნების სექციები. განზრახულია შემდეგში საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების სექციების ჩამოყალიბება.

სომხური კულტურის სახლის გახსნის დღეს გაიმართება საზეიმო სხდომა და მხატვრული საღამო საკონცერტო განყოფილებით.

□

შემთხვევები

[illegible] ქ. ტფილისის [illegible] ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგემ გოგიძემ მიმდინარე წლის 5 თებერვალს განაცხადა შინსახკომის რაიონულ მილიციაში იმის შესახებ, რომ 4 თებერვალს ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ფოსტის კანტორის კარების კლიტეები და მოიპარეს იქიდან 900 მანეთი ფული და ნაგანის სისტემის რევოლვერი. მიუხედავად ამისა, ბოროტმოქმედების ადგილის შესწავლით და კვლევაძიებით გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქურდობის სიმულაციას. შემდგომი კვლევაძიებით დადასტურდა, რომ ფული და რევოლვერი მიითვისა თვით ფოსტის გამგე გოგიძემ, რომელმაც თავისი ბოროტმოქმედების კვალის დაფარვისათვის მოიგონა ქურდობის სიმულაცია. გოგიძე შეიპყრეს. ის გამოტყდა დანაშაულში.

ხანძარი. 19 თებერვალს საღამოს ბამბის ფაბრიკის შენობაში, რომელიც ეკუთვნის არტელ „[illegible]" ([illegible] ქ. 26), გაჩნდა ხანძარი, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ფაბრიკა. ხანძრის გაჩენის მიზეზს არკვევენ.

პარტკალენდარი

— წინადადება ეძლევათ ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს 22 თებერვალს გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში (ოთახი № 35) სააპელაციო განცხადებათა განმხილველი კომისიის სხდომაზე დასასწრებლად.

დილის 10 საათზე ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან უნდა გამოცხადდნენ ამხ. ვ. ბ. [illegible], ა. [illegible], ი. [illegible], მელ. რამაზაშვილი, შ. ლ. [illegible], ნ. [illegible], ქ. კობახიძე, მ. [illegible], გ. [illegible], ს. [illegible], ვ. [illegible], ვ. ლორთქიფანიძე, მ. დ. [illegible], ვ. ი. [illegible], ნ. რ. [illegible]. სტალინის სახელობის რაიონიდან ამხანაგები: ა. [illegible], ტ. გ. [illegible], ე. [illegible], ა. [illegible], ა. [illegible], ვ. [illegible].

დილის 11 საათზე — ლენინის სახელობის რაიონიდან — ამხანაგები: გ. [illegible], ი. ი. [illegible], ა. გ. [illegible], მ. [illegible], ა. [illegible], უ. ფ. [illegible], ნ. [illegible], ი. [illegible], ქ. ა. [illegible], შ. გ. [illegible], ბ. ა. [illegible]. 26 კომუნარის სახელობის რაიონიდან — ამხანაგები: მ. ი. [illegible], მ. [illegible], მ. ი. [illegible], ა. დ. [illegible], ს. [illegible]. კიროვის სახელობის რაიონიდან — ამხანაგები: ვ. ლ. [illegible], ა. [illegible], ლ. [illegible], ს. [illegible], მ. ს. [illegible], შ. [illegible].

— საქ. კ. პ. (ბ) ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია წინადადებას აძლევს [illegible] და [illegible] პოლიკის [illegible] დღის [illegible] გამოცხადდნენ [illegible] კომიტეტის შენობაში (პირველი სართული, ოთახი № 17) ამხ. [illegible].

ოქტომბერი 6.30. 8. 9.30. 11 — დადგმის უკანასკნელი კვირა „უჩინარი ადამიანი"

დამკვრელი 6-30 8-30 10-30 — ხმოვანი ვარიანტი სურათი „დ ე დ ა" მ. გორკის თემის მიხედვით

ახალი ამბები 6-30 8-30 10-30 — ხმოვ. ჟურ. 1) საბჭ. საქართვ. № 1—36 [illegible], 2) დუსია და მარუსია ვინოგრადოვები, 3) ამბისნ. ამბები № 2

რ. ლიუქსემბურგის სახ. 6.30. 8. 9.30. 11 — დადგმის უკანასკნელი კვირა „ბ უ რ თ ი დ ა გ უ ლ ი"

„26"-ის კომუნ. სახ. 6-30. 8 1 10 — ხმოვანი ფილმი „ს რ უ ლ წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა"

კიროვის სახელობის

ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექცია

აცხადებს, რომ ა.-წ. 20 თებერვლიდან ინსტიტუტთან იწყობა მუშა სტახანოველებისათვის, წარმოებისგან მოუწყვეტლივ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში მისაღები

მოსამზადებელი კურსები

კურსებზე მიიღებიან მუშა-სტახანოველები შესაბამისი მომზადებით და წარმოების სამკუთხედის რეკომენდაციით.

განცხადებათა მიღება იწარმოებს 28 თებერვლამდე. ინსტიტუტის კანცელარიაში არსენალის მთაზე ყოველდღე 10—2 საათ. და 6—8 საათ.

61 ინსტიტ. დირექტორი პროფ. ვაშაყმაძე.

ამა წლის თებერვლიდან იწყებს გამოსვლას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური სალიტერატურო გაზეთი

„ლიტერატურული საქართველო"

აკაკი თათარიშვილის რედაქტორობით.
პირველი ნომერი გამოვა 25 თებერვლისათვის.
ცალკეული ნომერი ღირს 30 კაპ.
მიიღება ხელისმოწერა ყველგან „სოიუზპეჩატის" კანტორაში და რწმუნებულებთან.

12958 გამომცემლობა „ფედერაცია".

ექიმი ივ. გომართელი, ცარინკა აბაშიძე და ოლია ბარათაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თავისი საყვარელი რძლისა და ბიცოლის ცაცა [illegible] გარდაცვალების გამო. 12922

დედა ანეტა, ძმა გიორგი (ჟორა), და მარო, რძალი ლიდა იუწყებიან ლუდმილა თედორეს—ასულ კახიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 თებერვალს, 6 საათზე ფრონის, 30. დაკრძალვა 23 თებ. 4 ნახ. ს. 12963

ადმინისტრაცია საწავლო კომბინატთა იხსნება

მდივნობა-საქმის წარმოების

სპეციალური სამთვიანი კურსები (ქართ. რუსულ სექტორ.).

[illegible] ხაზგასმით [illegible] სწავლების დარგზე.
დაწვრილებითი ცნობები გაიცემა დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდის
ტოლსტოის ქ. № 2 (კარლ მარქსის მოედნის მახლობლად). 12936

უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელ კურსებზე გრძელდება განცხადებების მიღება.
იხსნება ინდუსტრიული ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი ჯგუფი.
განცხადების მიღება საღამოს 7 საათიდან, კალინინის ქ. № 51. რკ. გზ. მე-5 სკოლაში. მე-2 სართ. 12959

განსახკომის კურსებთან სტომატოლოგიური ინსტიტუტისათვის მოსამზადებლად

იხსნება ერთი ჯგუფი

პირობების გაგება ყოველდღე საღამოს 6—9 საათ.
პლეხანოვის გამზ. № 66. (ეზოში). 12960

მათემატიკის მასწავლებელი უმაღლესი განათლებით [illegible] ამზადებს მოწაფეებს ყველა ტიპის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. პირობები ხელმისაწვდომია. მისამართი: სოფ. [illegible]. 12939

ყველა ტიპის უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსამზადებელი

კურსები

აცხადებს მსმენელების მიღებას ახალ ჯგუფში.
პირობების გაგება: ტფილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის შენობა, კეცხოველის ქ. № 12. საღამოს 6—8 საათამდე.
3-1 12949 კურსების დირექცია.

მეხუთე მოსწ. საშუალო სკოლის პედპერსონალი და მოსწავლეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ [illegible] კლასის მოსწავლის ნინო ნაცარაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. 12955

და ელისაბედ, სიძე სანდრო, დისწულები: ნინო, ნიკო ტატიშვილები, [illegible], ლადო, შალვა მაჭარაშვილები, კატო ყორიშვილისა იუწყებიან იოსებ ალექსანდრეს ძე ელიოზიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 22-ს. 5 ს. ლენინის, 46. 12965

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები: ფილიპე, ალექსანდრე ჩოჩია, ექ. ანტონ [illegible] და სიმონ ალექსიძე კაჭარავები ცოლ-შვილით იუწყებიან სუსანა სერგოს ასულ კაჭარავას უდროოდ გარდაცვალებას. 12924

დამწუხრებული დედა მაშიკო, ცოლი ლეილა, შვილი სოსო იუწყებიან პეტრე იოსების ძე ხარაბაძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 22 თებერვალს, 4 ს. ენგელსის, 39. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 12954

ცოლი მარიამ [illegible], შვილები: შალვა, ოთარ, ცუცუნა, ზურაბ, რძალი ნადია იუწყებიან მიხეილ [illegible] რატიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 22 თებერვალს 4 ნახ. საათზე გორის ქ. 4. 12952

ექიმი [illegible] ყურაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი მეგობრის და უსაყვარლესი ადამიანის ექიმ ყარამან ნესტორისძე ფალავას უეცარ და უდროოდ გარდაცვალების გამო. 12904

მეუღლე ქრისტინე, შვილები: ეპიფანე, ავქსენტი, მიშა, დათიკო, ვანო, პაშა; ქალები: ლუბა, ქეთია, [illegible], დისწული ნიკო [illegible] იუწყებიან იულონ ნოდიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ძველ აბაშაში, 22 თებერვალს. 12950

გულმოკლული დედა ელისაბედ (ტუტე), ძმა გ. პაპოვი, და ნადია, რძალი თალიკო შვილებით იუწყებიან ძვირფასი გოგონა [illegible]—პაპოვის უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ბათომში დღეს, 4 საათზე. ლუქსემბურგის, 25. 50

ოლგა, გიორგი, მიხეილ, პავლე, რევაზ გერმანიშვილები ცოლ-შვილით, მარიამ და ვასილ მოლოდინები შვილით, გრიშა გლურჯიძე შვილებით იუწყებიან დეიდაშვილის [illegible] რამაზაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან.

მეუღლე [illegible] მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე პელაგია მიზრილაძე. დასაფლავება 23 თებერვალს, სოფ. შემოქმედში (გურია). 62

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 8524